შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის
ქართული ენის ჯგუფი

როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდისათვის

ქართული, როგორც მეორე ენა

(მე-2, შევსებული გამოცემა)

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე, იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

2015

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

საგამოცდო პროგრამა 4

ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება 8

მინიმალური ზღვრები და გამსვლელი ქულები 9

რეკომენდაციები 10

ა) მოსმენა 10

ბ) კითხვა 10

გ) წერა 10

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები 11

დ) ლაპარაკი 14

შეფასების კრიტერიუმები ლაპარაკის ნაწილისათვის 15

ლაპარაკის ნაწილის ნიმუში 16

ე) მეთოდიკა 17

პასუხების ფურცელზე პასუხების გადატანის ინსტრუქცია 18

საგამოცდო ტესტის ნიმუში 21

ტესტის ნიმუშის პასუხები 31

2014 წელს ჩატარებულ გამოცდაზე გამოყენებული ტესტი 34

2014 წელს ჩატარებულ გამოცდაზე გამოყენებული ტესტის შეფასების სქემა 47

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება! 54

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე კრებულის დანიშნულებაა დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის, პედაგოგებს გააცნოს საგამოცდო პროგრამა, ტესტურ დავალებათა ნიმუშები და რეკომენდაციები.

საგამოცდო დავალებათა სირთულის დონე და მოთხოვნები შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.

საგამოცდო ტესტის დავალებათა ტიპები გამოიცადა საქართველოს რამდენიმე რეგიონში. აპრობაციების შედეგების ანალიზისა და საგნობრივ ექსპერტებთან ინტენსიური მუშაობის შედეგად შემუშავდა წარმოდგენილი საგამოცდო ტესტის ფორმატი.

ვფიქრობთ, კრებულში გამოქვეყნებული მასალა სათანადო დახმარებას გაუწევს ქართულის, როგორც მეორე ენის, პედაგოგებს სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მომზადებაში.

არაქართულენოვანი სკოლების ქართულის, როგორც მეორე ენის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები), მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამა

საგამოცდო პროგრამა განკუთვნილია ქართულის, როგორც მეორე ენის, იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც 2015 წელს აბარებენ სასერტიფიკაციო გამოცდას ქართულ ენაში.

პროგრამა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.

გამოცდაზე შემოწმდება მასწავლებლის:

1. ენობრივი კომპეტენცია (მოსმენის, კითხვის, წერის, ლაპარაკის უნარ-ჩვევები);

2. პროფესიული ცოდნა (ფონეტიკა, გრამატიკა, ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ლექსიკოლოგია, ენისა და ტექსტის ურთიერთმიმართება, მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა, ქართული ლიტერატურა და მისი ძირითადი ეტაპები, ლიტერატურული მიმდინარეობები);

3. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკის ცოდნა (სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება).

1. ენობრივი კომპეტენცია

<u>მიმართულება მოსმენა</u>

პედაგოგს მოეთხოვება სხვადასხვა თემასთან დაკავშირებული ზეპირი ტექსტების გაგება და გაანალიზება შინაარსობრივი თვალსაზრისით.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს მოსმენილ ტექსტში წამოჭრილი პრობლემების გაგება-გააზრება, მთავარი და მეორეხარისხოვანი საკითხების, არგუმენტების, ვარაუდებისა და ფაქტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ტექსტის ნაწილებს შორის არსებული ლოგიკური კავშირების დადგენა, ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციის გაგება, ზეპირი ტექსტების ძირითადი ენობრივ-სტილური მახასიათებლების ამოცნობა.

<u>მიმართულება კითხვა</u>

პედაგოგს მოეთხოვება სხვადასხვა ჟანრის, სტილისა და სტრუქტურის მქონე არამხატვრული და მხატვრული ტექსტების გაგება-გაანალიზება შინაარსის, სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით, კონტექსტური (სოციალურ-კულტურული და ისტორიული) ფაქტორების გათვალისწინებით.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს:

- ტექსტში ასახული თემის, ძირითადი იდეის, პრობლემატიკის, პრობლემის გამომწვევი მიზეზების, მთხრობლის, ავტორის, პერსონაჟის ხედვისა და ქცევის მოტივის განსაზღვრა, ტექსტში გადმოცემული თუ ნაგულისხმევი თვალსაზრისების, შეხედულებების გამოკვეთა;
- ტექსტის ფუნქციური ტიპის, სტრუქტურული ერთეულებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ფუნქციების განსაზღვრა, პერსონაჟთა დახასიათების ხერხების ამოცნობა;
- ტექსტში ასახული თემის, პრობლემის განხილვა კონტექსტის თავისებურებათა გათვალისწინებით, სხვადასხვა კონტექსტის ამსახველი ტექსტების გაანალიზება მსგავსება-განსხვავების გამოვლენის მიზნით.

<u>მიმართულება წერა</u>

პედაგოგს მოეთხოვება სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტების შედგენა.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტების (ესეს, გამოხმაურების, რეცენზიის...) შექმნა; პრობლემური საკითხების შესახებ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება; აზრის თანამიმდევრულად განვითარება, არგუმენტების

მოყვანა; სათანადო ლოგიკური დასკვნების გამოტანა; ტექსტის ორგანიზება; ენობრივი ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.

<u>მიმართულება ლაპარაკი</u>

პედაგოგს მოეთხოვება ზეპირი მეტყველებისას საკუთარი აზრის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბება, გამართულად მეტყველება.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს ზეპირი მეტყველებისას სათანადო არგუმენტებისა და კონკრეტული მაგალითების მოხმობა საკუთარი მოსაზრების/პოზიციის გადმოსაცემად, დასკვნის გაკეთება.

2. პროფესიული ცოდნა

ქართული ენა

ა) ქართული ანბანი და მისი ზოგადი დახასიათება: ქართული ენის ბგერითი შედგენილობა; ბგერა და ასო; ქართული დამწერლობის განვითარების ეტაპები.

ბ) ფონეტიკა: ბგერათა დახასიათება; სპეციფიკური ბგერები; ძირითადი ფონეტიკური პროცესები: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა და სხვ. ინტონაცია და მისი ძირითადი ელემენტები: ლოგიკური მახვილი, მეტყველების ტემპი, ხმის ტემბრი; პაუზა და მისი აზრობრივი დატვირთვა; ორთოეპიის საკითხები.

გ) გრამატიკა:

მორფოლოგია

1. არსებითი სახელი, ჯგუფები, ბრუნება, ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები;
2. ზედსართავი სახელი, ჯგუფები, ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად;
3. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები;
4. რიცხვითი სახელი, ჯგუფები, ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად;
5. ნაცვალსახელი, ჯგუფები, ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად; ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები;
6. სახელთა წარმოება და მათი ფუნქციები;
7. ზმნა; პირისა და რიცხვის გამოხატვა ზმნაში, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები, პირთა რაოდენობა ზმნის ერთ ფორმაში, ზმნისწინთა აგებულება და მათი ფუნქციები; დრო, კილო, ასპექტი, ქცევა, კონტაქტი, გარდამავლობა, გვარი; საწყისი და მიმღეობა, მათი წარმოება და ფუნქციები;
8. ზმნიზედა, ჯგუფები ფუნქციისა და ფორმის მიხედვით, ზმნიზედის მართლწერა;
9. თანდებული, ცალკე მდგომი და სახელთან შერწყმული თანდებულები, თანდებულთა განაწილება ბრუნვების მიხედვით და მათი ფუნქციები;
10. კავშირი, კავშირის სახეები, მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები;
11. შორისდებული;
12. ნაწილაკი.

სინტაქსი

1. წინადადება შინაარსის (მოდალობის) მიხედვით;
2. წინადადება აგებულების მიხედვით: მარტივი, შერწყმული და რთული;
3. წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები;
4. სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის სახეები;
5. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები;
6. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

დ) ორთოგრაფია:

1. რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელთა მართლწერა;
2. კომპოზიტების მართლწერა;
3. უცხოური სიტყვების მართლწერა.

ე) პუნქტუაცია: პუნქტუაციის წესები; პუნქტუაცია და ინტონაცია.

ვ) ლექსიკოლოგია: სიტყვაწარმოების თავისებურებები; სინონიმი; ანტონიმი; დიალექტიზმი; ჟარგონი; ბარბარიზმი; არქაიზმი; ნეოლოგიზმი; სიტყვათა სესხება; პროფესიული ლექსიკა; სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა; ფრაზეოლოგიზმები და მყარი შესიტყვებები.

ზ) ტექსტის ენობრივ-სტრუქტურული მახასიათებლები: ტექსტისა და მისი კომპონენტების ორგანიზება, ტექსტის შემადგენელი კომპონენტების სემანტიკური და სტრუქტურული ურთიერთდაკავშირების საშუალებანი, მეტყველების ფუნქციური ტიპები და მათი სტილური თავისებურებები.

თ) მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა: ტროპული მეტყველება, სტილური და სინტაქსური ფიგურები.

ქართული ლიტერატურა

ქართული ლიტერატურა და მისი ძირითადი ეტაპები: ძველი, ახალი და უახლესი ქართული მწერლობა; ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობები.

სარეკომენდაციო ლიტერატურის სია:

1. ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. შუქია აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
3. თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1989.
4. ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
5. ქართული ენა და ლიტერატურა (მასწავლებლის ბიბლიოთეკა), შედგენილი გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის მიერ, I – V, თბ., 2009.
6. აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1976.

ლექსიკონები:

1. ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.
3. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.
4. ქართული ლექსიკონი, თბ., 2014.

3. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკა

პედაგოგს მოეთხოვება:

ა) მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს:

- მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების, ასაკობრივი ინტერესებისა და ენობრივი კომპეტენციის გათვალისწინებით მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის უნარ-ჩვევების გასავითარებლად გაკვეთილის მიზნის განსაზღვრა, ტექსტის გააზრებისათვის, ცოდნის ათვისების თითოეული ფაზისათვის განსხვავებული ტიპისა და სირთულის დავალებების შერჩევა/შედგენა;
- ენის სწავლის უნარის გასაუმჯობესებლად სწავლების სათანადო სტრატეგიების (დისკუსიის, ენობრივი შეცდომების ანალიზისა და სხვ.) შერჩევა.

ბ) შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს:

- ისეთი ხერხების შერჩევა, რომლებიც ხელს უწყობს გაკვეთილზე მოსწავლეთა მოტივირებას მოსმენის, კითხვის, ზეპირ თუ წერით აქტივობებში ჩასართველად;
- გამოუმუშაოს მოსწავლეს სათანადო სტრატეგიების შერჩევის უნარ-ჩვევები ენობრივი ამოცანების დამოუკიდებლად გადასაჭრელად, ზეპირი და წერითი დავალებების შესასრულებლად;
- ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩაბმას ენობრივ-კომუნიკაციურ აქტივობებში.

გ) შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს მიზნების შესაბამისი შეფასების ფორმების, კრიტერიუმებისა და ხერხების შერჩევა; განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა ენის ცოდნის დონის გასაუმჯობესებლად.

დ) ქართულის ენის სწავლება მოსწავლის კულტურული და ინტერკულტურული განვითარებისათვის.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს სოციოკულტურული თვალსაზრისით საინტერესო რესურსის შერჩევა, მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ადეკვატური სტრატეგიებისა და მასალის შერჩევა.

ე) დაწყებით საფეხურზე მეორე ენის სწავლა/სწავლების სპეციფიკის გათვალისწინება.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს დაწყებით საფეხურზე:

- კითხვისა და წერის უნარების განმავითარებელი აქტივობების შერჩევა;
- მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარ-ჩვევის განსავითარებლად სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

სარეკომენდაციო ლიტერატურის სია:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011;
2. ქართულის, როგორც მეორე ენის, სტანდარტი, 2011;
3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2010;
4. მასწავლებლის წიგნი – ქართული, როგორც მეორე ენა, 1-12 დონეები, თბ., 2011-2012;
5. როგორ ვასწავლოთ კითხვა, დაწყებითი კლასის პედაგოგებისათვის, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010;
6. კითხვის ეფექტური მეთოდები, სასწავლო მეთოდური ფილმი და გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011;
7. ქართული ენა და ლიტერატურა, I-VI კლასები, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, 2011;
8. კითხვის ეფექტური მეთოდები (1, 2), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2011, ვებგვერდი: www.tpdc.ge;
9. სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008;
   „ბილინგვური განათლება“, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალი, www.ganatleba.ge, განათლების პორტალი არაქართულენოვანი სკოლებისათვის.

ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

ტესტი ასქულიანია და შედგება ორი ნაწილისაგან:

I. ენობრივი ნაწილისაგან, რომელიც ამოწმებს მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის ენობრივ კომპეტენციებს (70 ქულა);

II. მეთოდიკის ნაწილისაგან, რომელიც ამოწმებს, თუ როგორ ფლობს მასწავლებელი ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდებს (30 ქულა).

ქვემოთ მოცემულია ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება დავალებების მიხედვით.

მოწმდება	**დავალებათა ტიპები**	**მაქსიმალური ქულები**
I. ენობრივი კომპეტენცია:		
ა) მოსმენა	დასმულ შეკითხვებზე სწორი პასუხების შერჩევა მოსმენილი ტექსტის მიხედვით.	11
ბ) კითხვა	1. დასმულ შეკითხვებზე სწორი პასუხების შერჩევა მხატვრული ტექსტის მიხედვით.	10
	2. ინფორმაციულ ტექსტში გამოტოვებული წინადადებების აღდგენა შემოთავაზებული ვარიანტებიდან.	8
	3. იმ წინადადებების მონიშვნა, რომლებიც შეესაბამება ან არ შეესაბამება ინფორმაციული ტექსტის შინაარსს.	10
გ) წერა	არგუმენტირებული ესე.	20
დ) ლაპარაკი	მოკლედ საუბარი შემოთავაზებულ თემებზე.	11
II. მეთოდიკა	1. ტექსტში დაშვებული შეცდომების გასწორება ან შეცდომების გასწორება და შეცდომათა ტიპების მითითება.	10
	2. აქტივობისა და მიზნის შესაბამისობის დადგენა.	7
	3. პრობლემის ანალიზი, აქტივობების შერჩევა და მათი ეფექტიანობის დასაბუთება.	13
ტესტის მაქსიმალური ქულა		***100***

კანდიდატმა პასუხები უნდა გადაიტანოს პასუხების ფურცელზე. <u>**სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი**</u>**!**

ტესტირების ხანგრძლივობა (ლაპარაკის ნაწილის გარეშე) შეადგენს **5 საათს.** ტესტირება ლაპარაკის ნაწილში ჩატარდება ცალკე (დანარჩენი ნაწილებისაგან განსხვავებულ დროს) და დაეთმობა **15 წუთი.**

მინიმალური ზღვრები და გამსვლელი ქულები

ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელია კანდიდატმა დააგროვოს მაქსიმალური ქულის 60% + 1 ანდა მეტი (ე. ი. 61 ქულა და მეტი).

გარდა ამისა, კანდიდატმა უნდა გადალახოს თითოეული ნაწილისათვის (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, მეთოდიკა) დადგენილი ზღვრები.

იხ. სქემა, რომელშიც ასახულია გამსვლელი ქულები მთელი ტესტისა და თითოეული ნაწილისათვის.

N	ტესტი და მისი ნაწილები	მაქსიმალური ქულები	გამსვლელი ქულები
1.	მთლიანი ტესტი	100	61 ან მეტი
2.	მოსმენა	11	5 ან მეტი
3.	კითხვა	28	12 ან მეტი
4.	წერა	20	9 ან მეტი
5.	ლაპარაკი	11	5 ან მეტი
6.	მეთოდიკა	30	13 ან მეტი

გაითვალისწინეთ, კანდიდატს გამოცდა ჩაბარებულად არ ჩაეთვლება, თუ ვერ გადალახავს ტესტის რომელიმე ნაწილის მინიმალურ ზღვარს, მიუხედავად იმისა, დააგროვა თუ არა მთლიან ტესტში 61 ან მეტი ქულა.

ამრიგად, გამოცდაზე კანდიდატმა უნდა გადალახოს ***ექვსი*** მინიმალური ზღვარი: მთლიანი ტესტის, მოსმენის, კითხვის, წერის, მეთოდიკისა და ლაპარაკის ნაწილებში.

რეკომენდაციები

ა) მოსმენა

- ტესტში არის მოსმენის ერთი დავალება.
- დავალება დახურული ტიპისაა. ტექსტის შინაარსის მიხედვით დასმულია 11 კითხვა. თითოეულს ახლავს ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხი. თქვენ მოგეთხოვებათ შეარჩიოთ სწორი პასუხი, მონიშნოთ ტესტის ბუკლეტში და გადაიტანოთ პასუხების ფურცელზე. ამისათვის შესატყვის უჯრედში უნდა დასვათ X ნიშანი. (იხ. ნიმუში, გვ. 18).

- წინასწარ გაეცანით დავალების პირობას, რისთვისაც გეძლევათ 30-45 წამი.
- გაითვალისწინეთ, დავალების ტექსტს მოისმენთ ორჯერ, რაც თქვენი პასუხების გადამოწმების საშუალებას მოგცემთ.
- დავალება შეასრულეთ მოსმენის დროს. პირველ და მეორე მოსმენას შორის არის პაუზა (დაახლოებით 30 წამის ხანგრძლივობისა). პაუზის დროს კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ როგორც დავალება, ასევე თქვენი პასუხები. ტექსტის მეორე მოსმენისას გადაამოწმეთ თქვენი პასუხები და, საჭიროების შემთხვევაში, შეასწორეთ ისინი.
- ტექსტის მოსმენის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 11, გამსვლელი ქულა – 5 ან მეტი.

ბ) კითხვა

- წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის შესამოწმებლად ტესტში შეტანილია სამი ტექსტი – ერთი მხატვრული და ორი ინფორმაციული:
  1. მხატვრულ ტექსტს ახლავს 10 შეკითხვა ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხით, რომელთაგან უნდა შეარჩიოთ სწორი.
  2. პირველ ინფორმაციულ ტექსტში გამოტოვებულია 8 წინადადება. ჩამოთვლილი 10 წინადადებიდან (ორი წინადადება ზედმეტია) უნდა შეარჩიოთ მხოლოდ რვა და მიუთითოთ, რომელ ადგილას აღადგენთ მათ ტექსტში.
  3. მეორე ინფორმაციულ ტექსტს ახლავს 12 წინადადება (ორი წინადადება ზედმეტია). თქვენ უნდა აღნიშნოთ, რომელი მათგანი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. იქვე უნდა მიუთითოთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს.
- პასუხების ფურცელზე თქვენი პასუხები გადაიტანეთ მხოლოდ შესაბამის უჯრედებში.
- ტექსტის კითხვის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 28, გამსვლელი ქულა – 12 ან მეტი.

გ) წერა

- ტესტში არის ერთი წერითი დავალება.
- ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. გაიაზრეთ შემოთავაზებული პრობლემა. ჩამოწერეთ თემასთან დაკავშირებული ფაქტები, არგუმენტები და ა. შ.
- წერეთ არგუმენტირებულად, მოიყვანეთ მაგალითები და ფაქტები.
- შეასრულეთ დავალება ჯერ ტესტის ბუკლეტში, გადახედეთ ნაშრომს, შეიტანეთ ცვლილებები და ამის შემდეგ რედაქტირებული ვარიანტი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.
- სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.
- ნურსად მიუთითებთ თქვენს სახელსა და გვარს. ამგვარი ნაშრომი არ გასწორდება.
- ტესტის წერის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20, გამსვლელი ქულა – 9 ან მეტი.

იხ. წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები, გვ. 11.

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **20.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, ***უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას***. თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

თუ კანდიდატის ნაშრომი არ უპასუხებს დავალების პირობას ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება***.

კრიტერიუმების ჩამონათვალი და განმარტებები

№	*კრიტერიუმები*	*კრიტერიუმების განმარტებები*	*მაქსიმალური ქულები*
I	დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება	კანდიდატს მოეთხოვება დავალების პირობის ადეკვატური გაგება და მისი სიღრმისეული გააზრება.	**2**
II	ნაშრომის აგება	კანდიდატს მოეთხოვება მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	**2**
III	მსჯელობის დასაბუთება	კანდიდატს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება შესაბამისი მაგალითებით.	**4**
IV	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, აგრეთვე, ზოგადი განათლება, ფართო ერუდიცია.	**3**
V	ლექსიკა და სტილი	კანდიდატს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე, ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნების დაცვა.	**3**
VI	სინტაქსი	კანდიდატს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	**3**
VII	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	კანდიდატს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	**3**

I კრიტერიუმი

№	*დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	**2**
2.	დავალების პირობა ნაწილობრივ ***არაადეკვატურადაა*** გაგებული.	**1**
3.	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული.	**0 ნაწერი აღარ სწორდება**

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	2
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** დარღვეულია ტექსტის ლოგიკა *და/ან* აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	1
3.	ნაშრომში ***დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა და/ან იგი ორგანიზებული ***არ არის.***	0

III კრიტერიუმი

№	*მსჯელობის დასაბუთება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული და არგუმენტები ***გამყარებულია*** შესაფერისი მაგალითებით.	4
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები ***არაადეკვატურია.***	3
3.	მსჯელობა ***ზერელედაა*** დასაბუთებული, ***ხშირ*** შემთხვევაში არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
4.	მსჯელობა ***ძალზე ზოგადია,*** არგუმენტების მოხმობისას ***დაშვებულია*** უზუსტობა ან ფაქტობრივი შეცდომა.	1
5.	მსჯელობა დასაბუთებული ***არ არის.***	0

IV კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ***ფართო*** ერუდიცია.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მისი ფართო ერუდიცია; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა კანდიდატის ერუდიციაცა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა ერუდიცია; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა ერუდიცია.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ერუდიცია.	0

V კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება ***ორიოდე*** სტილისტური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი ***გასაგებია,*** თუმცა ლექსიკა ***მწირია,*** გვხვდება ***რამდენიმე*** სტი-ლისტური ხარვეზი.	1
4.	თხზულება სტილისტურად ***გაუმართავია.***	0

VI კრიტერიუმი

№	*სინტაქსური კონსტრუქციები*	*ქულები*
1.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი*** სინტაქსური შეცდომა.	3
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	2
3.	ნაშრომში დაშვებულია ***სამი*** სინტაქსური შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია ***სამზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***ორზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	3
2.	არ არის ***ხუთზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	2
3.	არ არის ***რვაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	1
4.	დაშვებულია ***რვაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	0

<u>დ) ლაპარაკი</u>

ტექნიკური მხარე:

- სასერტიფიკაციო გამოცდა ლაპარაკის ნაწილში ტარდება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. კანდიდატები მუშაობენ ინდივიდუალურად, პერსონალურ კომპიუტერებთან. ისინი ყურსასმენებით ისმენენ დავალებების პირობებს და ასრულებენ შესაბამის მოთხოვნებს (მაგ.: უპასუხებენ შეკითხვებს, აღწერენ სიტუაციას და ა. შ.).
- დავალებების ინსტრუქციები გამოტანილია კომპიუტერის ეკრანზე. ამგვარად, კანდიდატს ეძლევა საშუალება, რომ ერთდროულად მოისმინოს და წაიკითხოს კიდეც ისინი.
- ყოველი დავალების შესასრულებლად გამოყოფილია გარკვეული დრო, რომლის გაკონტროლება კანდიდატს შეუძლია კომპიუტერის ეკრანზე გამოტანილი წამმზომის მეშვეობით. სალაპარაკო დროის გაკონტროლების საშუალებას იძლევა ასევე სპეციალური ხმოვანი სიგნალი, რომელიც კანდიდატს მიანიშნებს, თუ როდის უნდა დაიწყოს და დაასრულოს მოცემული საკითხის შესახებ ლაპარაკი.
- კანდიდატმა აუცილებელად ხმამაღლა და გარკვევით უნდა ილაპარაკოს, რომ ჩანაწერის ცუდმა ხარისხმა არ იმოქმედოს შეფასებაზე.
- მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ლაპარაკისათვის განკუთვნილი დრო. დაიწყოს ლაპარაკი შესაბამისი ხმოვანი სიგნალის შემდეგ. კონკრეტული დავალებისათვის გამოყოფილი დროის არასრული გამოყენება ან დიდი პაუზებით საუბარი გამსწორებელს ვერ მისცემს კანდიდატის ლაპარაკის უნარის სათანადოდ შეფასების საშუალებას.
- ტესტის ლაპარაკის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 11, გამსვლელი ქულა – 5 ან მეტი.
- ტესტის ლაპარაკის ნაწილისათვის გამოყოფილია 13-15 წუთი.

შინაარსობრივი მხარე:

ტესტის ლაპარაკის ნაწილი შედგება 3 დავალებისაგან.

I დავალება – კითხვებზე პასუხი:

კანდიდატი ისმენს ორ შეკითხვას და თანამიმდევრობით უპასუხებს ჯერ ერთს, შემდეგ – მეორეს. თითოეული კითხვის საპასუხოდ გამოყოფილია 30 წამი.

II დავალება – თემაზე საუბარი:

კანდიდატი ისმენს სასაუბრო თემას, პირადი გამოცდილებიდან იხსენებს შესაბამის სიტუაციას და 2-3 შეკითხვის დახმარებით განავრცობს პასუხს. პასუხის მოსაფიქრებლად გამოყოფილია 1 წუთი, პასუხისათვის – 2 წუთი.

III დავალება – არგუმენტირებული მსჯელობა:

კანდიდატი ეცნობა სიტუაციასა და მასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. იგი გადმოსცემს საკუთარ შეხედულებას ამ საკითხთან დაკავშირებით და ამყარებს მაგალითებითა და არგუმენტებით. პასუხის მოსაფიქრებლად გამოყოფილია 30 წამი, პასუხისათვის – 1 წუთი.

იხ. ტესტის ლაპარაკის ნაწილის შეფასების კრიტერიუმები, გვ. 15.

შეფასების კრიტერიუმები ლაპარაკის ნაწილისათვის

I კრიტერიუმი

N	დავალებასთან შესაბამისობა	ქულები
1.	ლაპარაკობს თავისუფლად, პაუზების გარეშე; პასუხი არგუმენტირებულია; დროს სრულად იყენებს.	3
2.	ლაპარაკობს გამართულად, თუმცა ზოგ შემთხვევაში მოკლე, წყვეტილი ფრაზებით, პაუზების გარეშე; არგუმენტები ზოგჯერ არ არის მყარი; დროს სრულად არ იყენებს.	2
3.	ლაპარაკობს დაზეპირებული ან გაუმართავი ფრაზებით, მოკლე, წყვეტილი წინადადებებით; პასუხი არ არის არგუმენტირებული; დროს სრულად არ იყენებს.	1
4.	ლაპარაკობს გაუგებრად ან ლაპარაკობს სხვა თემაზე, ანდა დუმს.	0 (არ სწორდება)

II კრიტერიუმი

N	ლექსიკური მარაგი	ქულები
1.	აქვს მდიდარი ლექსიკური მარაგი.	3
2.	აქვს საკმარისი ლექსიკური მარაგი, თუმცა 1 ან 2 შემთხვევაში სიტყვა არასწორადაა შერჩეული.	2
3.	აქვს ერთფეროვანი, მწირი ლექსიკა; ხშირად ლექსიკური ერთეულები არაადეკვატურად არის გამოყენებული.	1
4.	აზრის გაგება ჭირს, რადგან ლექსიკა არაადეკვატურია.	0

III კრიტერიუმი

N	გრამატიკული მრავალფეროვნება და სისწორე	ქულები
1.	იყენებს მრავალფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; არ უშვებს გრამატიკულ შეცდომებს.	3
2.	იყენებს მარტივ და საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს, თუმცა უშვებს 1 ან 2 გრამატიკულ შეცდომას.	2
3.	იყენებს მარტივ, ერთფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; გრამატიკული შეცდომები ზოგჯერ ხელს უშლის აზრის გაგებას.	1
4.	მეტყველება გრამატიკულად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.	0

IV კრიტერიუმი

N	წარმოთქმა	ქულები
1.	ბგერებს სწორად წარმოთქვამს, წარმოთქმის ხარვეზები უმნიშვნელოა.	2
2.	ზოგიერთ ბგერას სწორად ვერ წარმოთქვამს, თუმცა ეს ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	1
3.	ბგერებს სწორად ვერ წარმოთქვამს, ნათქვამი ხშირად გაუგებარია.	0

ლაპარაკის ნაწილის ნიმუში

I დავალება:

მოისმინეთ ორი შეკითხვა და უპასუხეთ მათ. თითოეულ კითხვაზე პასუხის მოსაფიქრებლად თქვენ გაქვთ ***10 წამი***, პასუხისათვის – ***30 წამი***.

შეკითხვა 1.
ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი და რატომ?
თქვენ გაქვთ ***10 წამი*** მოსაფიქრებლად.
საუბარი დაიწყეთ სიგნალის შემდეგ.

შეკითხვა 2.
რომელი საგანი გიყვარდათ ყველაზე მეტად სკოლაში და რატომ?
თქვენ გაქვთ ***10 წამი*** მოსაფიქრებლად.
საუბარი დაიწყეთ სიგნალის შემდეგ.

II დავალება:
გაიხსენეთ თქვენ მიერ ჩატარებული პირველი გაკვეთილი.

- გვიამბეთ, როგორ ემზადებოდით ამ გაკვეთილის ჩასატარებლად.
- აღწერეთ თქვენი მაშინდელი განცდები და შთაბეჭდილებები.

თქვენ გაქვთ ***1 წუთი*** მოსაფიქრებლად და ***2 წუთი*** პასუხის გასაცემად.
შეგიძლიათ ფურცელზე ჩაინიშნოთ პასუხისათვის საჭირო დეტალები.
საუბარი დაიწყეთ სიგნალის შემდეგ.

III დავალება:

მოისმინეთ სიტუაციის აღწერა და იმსჯელეთ არგუმენტირებულად. თქვენ გაქვთ ***30 წამი*** მოსაფიქრებლად, პასუხისათვის – ***1 წუთი***.

სიტუაცია:

თქვენი მეგობარი სკოლაში იწყებს მუშაობას და სურს, დირექტორს სთხოვოს, რომ თავდაპირველად უმცროსკლასელებთან შეუშვას, ზოგი კოლეგა კი ურჩევს, რომ სჯობს უფროსკლასელებთან ჩაატაროს გაკვეთილები, რადგან პატარებთან მუშაობა უფრო რთულია.

თქვენ რას ურჩევდით მეგობარს?

არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია!

ე) მეთოდიკა

ტექნიკური მხარე:

- ყურადღებით გაეცანით თითოეული დავალების პირობას, რათა ადეკვატურად შეასრულოთ კონკრეტული მითითება.
- ღია ტიპის დავალებებზე პასუხის გაცემისას ნუ დაწერთ ზოგად ფრაზებს, ნუ განავრცობთ პასუხს მეორეხარისხოვანი ინფორმაციით. მაგალითად: აქტივობის აღწერისას უნდა ისაუბროთ, რა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამთ მიზნის მისაღწევად. თქვენი პასუხი არ შეფასდება, თუ მხოლოდ დაასახელებთ აქტივობას.
- აქტივობის ეფექტიანობის დასაბუთებისას თქვენი მსჯელობა არგუმენტირებული უნდა იყოს.
- პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე დავალების ნომრის გასწვრივ გამოყოფილ ადგილას.
- სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.
- ტესტის მეთოდიკის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 30, გამსვლელი ქულა – 13 ან მეტი.

შინაარსობრივი მხარე:

ტესტის მეთოდიკის ნაწილი ღია და დახურული ტიპის რამდენიმე დავალებისაგან შედგება. კანდიდატმა უნდა შეძლოს:

1. მოსწავლის ნაშრომში დაშვებული შეცდომების აღმოჩენა, გასწორება და თითოეულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება.
2. აქტივობისა და გაკვეთილის მიზნის შესაბამისობების დადგენა.
3. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი.
4. მიზნების დასახვა მოსწავლეთა ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად, შესაბამისი აქტივობების შერჩევა და მათი ეფექტიანობის დასაბუთება.
5. შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების ფორმულირება.

პასუხების ფურცელზე პასუხების გადატანის ინსტრუქცია

პასუხების მონიშვნისას:

- პასუხების ფურცელზე მოძებნეთ კონკრეტული დავალების შესაბამისი ნომერი და ყოველი პასუხი გადაიტანეთ (მონიშნეთ) საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ უჯრედში.
- ამ კრებულში მოცემული საგამოცდო ტესტის ნიმუშის (იხ. გვ. 21) შემთხვევაში ზემოთქმული ეხება №№ 1-21 და 27-28 დავალებებს. შესაძლოა, საგამოცდო ტესტში ამ ტიპის დავალებები განსხვავებულად იყოს დანომრილი.
- თქვენ მიერ არჩეული პასუხები შესაბამის უჯრედებში აღნიშნეთ X ნიშნით.
- პასუხები თავდაპირველად შეგიძლიათ შემოხაზოთ ტესტის ბუკლეტში და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცელზე.
- თქვენი პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: ყოველი დავალების ნომრის ქვეშ განთავსებულ უჯრედებში X ნიშანი ჩასვით იმ უჯრედში, რომელიც, თქვენი აზრით, სწორ პასუხს შეესაბამება.
- მაგალითად, თუკი მე-3 დავალების პასუხად აირჩიეთ **ბ)** ვარიანტი, მაშინ პასუხების ფურცელზე უნდა მოძებნოთ მე-3 დავალების შესაბამისი სვეტი და ამ სვეტში პასუხების **(ბ)** რიგის შესატყვის უჯრედში ჩასვათ X ნიშანი (იხ. ნიმუში).

პასუხების მონიშვნის ნიმუში:

	1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.
ა)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ბ)	☐	☐	☒	☐	☐	☐	☐	☐	☐
გ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
დ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

გაითვალისწინეთ:

- თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრედში X ნიშნის ჩასმაა.
- დასაშვებია, რომ X ნიშანი ცოტათი გასცდეს თეთრი უჯრედის ფარგლებს, მაგრამ იგი არ უნდა იყოს უჯრედზე მოკლე.
- თითოეული დავალების შესაბამის სვეტში უნდა მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი, ანუ მხოლოდ ერთ უჯრედში დასვით X ნიშანი.
- თუ რომელიმე სვეტში ერთზე მეტ X ნიშანს დასვამთ, ამ კონკრეტული დავალების არცერთი პასუხი არ ჩაითვლება სწორად.
- თუ გსურთ პასუხების ფურცელზე უკვე მონიშნული პასუხის გადასწორება, მაშინ მთლიანად გააფერადეთ (გააშავეთ) ის უჯრედი, რომელშიც X ნიშანი ჩასვით და ამის შემდეგ იმავე სვეტში მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრედში). კომპიუტერული პროგრამა არჩეულ პასუხად მხოლოდ X ნიშნიან უჯრედს აღიქვამს.
- შეუძლებელია ხელმეორედ იმავე პასუხის არჩევა, რომელიც გადაასწორეთ (ანუ იმ პასუხისა, რომლის შესაბამისი უჯრედი უკვე მთლიანად გააფერადეთ).

პასუხის ჩაწერისას:

- დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ საგანგებოდ ამისათვის გამოყოფილ ადგილას ჩაწერეთ თქვენი პასუხი.
- დასაშვებია პასუხების გადასწორება (არასწორი პასუხის გადახაზვა და გვერდით ან ზემოთ სწორი პასუხის დაწერა).

- თქვენი პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ ადგილს.
- ამ კრებულში მოცემული საგამოცდო ტესტის ნიმუშის 22-ე დავალების (იხ. გვ. 24) პასუხები შემდეგნაირად გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე: 22-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით X ნიშანი.
- მაგალითად, თუკი ჩათვალეთ, რომ ტექსტში მე-7 ნომრის ადგილას გამოტოვებულია წინადადება, რომელიც აღნიშნულია „ბ“ ასოთი, მაშინ პასუხების ფურცელზე უნდა მოძებნოთ მე-7 წინადადების შესაბამისი სვეტი და ამ სვეტში პასუხების **(ბ)** რიგის შესატყვის უჯრედში ჩასვათ X ნიშანი (იხ. ნიმუში).

22-ე დავალების პასუხების გადატანის ნიმუში:

22.

	1.	**2.**	**3.**	**4.**	**5.**	**6.**	**7.**	**8.**
ა)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ბ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☒	☐
გ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
დ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ე)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ვ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ზ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
თ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

23-ე დავალება

ამ კრებულში მოცემული საგამოცდო ტესტის ნიმუშის 23-ე დავალების (იხ. გვ. 25) პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: 23-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში გააკეთეთ აღნიშვნები **(X)**. იქვე მიუთითეთ იმ აბზაცების ნომრები, რომლებიც, თქვენი აზრით, შეიცავს თქვენი პასუხების დამადასტურებელ ინფორმაციას *(გაითვალისწინეთ, თუ რომელიმე აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ).*

იხ. ნიმუში.

23-ე დავალების პასუხების გადატანის ნიმუში:

23.

წინადადების №	**დიახ**	**არა**	**აბზაცის №**
1.	X		2
2.		X	5
3.		X	5
4.	X		4
5.		X	3
6.		X	3
7.	X		1
8.	X		2
9.		X	4
10.	X		5

24-ე დავალება

ამ კრებულში მოცემული საგამოცდო ტესტის ნიმუშის 24-ე დავალება (იხ. გვ. 26) ესეს დაწერას მოითხოვს. თქვენ შეგიძლიათ ტესტის ბუკლეტში შავად შეასრულოთ ნაშრომი და შემდეგ გადაწეროთ პასუხების ფურცელზე.

25-ე დავალება

ამ კრებულში მოცემული საგამოცდო ტესტის ნიმუშის 25-ე დავალების (იხ. გვ. 27) პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: 25-ე ნომრის გასწვრივ მოცემული ცხრილის I გრაფაში ჩაწერეთ სწორი ვარიანტი, II გრაფაში კი მიუთითეთ, რა ტიპისაა შეცდომა ან ხარვეზი. თუ შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √ (იხ. ნიმუში, გვ. 20).

25-ე დავალების პასუხების გადატანის ნიმუში:

25.

სწორი ვარიანტები	შეცდომების ტიპები
1. --------√----------	1. ----------
2. ------- წინ -------	2. ----- სტილ. -----
3. ---- რომლის ----	3. ----- სინტ. ------
4. --------√----------	4. ----------
5. ---- ქვეყნის -----	5. -- მორფ.-ორთ. --
6. ---- შეცვალა ----	6. -- მორფ.-ორთ. --

26-ე დავალება

- ამ კრებულში მოცემული საგამოცდო ტესტის ნიმუშის 26-ე დავალების (იხ. გვ. 28) პასუხები შემდეგნაირად გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე: 26-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში თითოეული აქტივობის რიგით ნომერს შეუსაბამეთ მიზნის აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ აქტივობას შეესატყვისება და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით X ნიშანი.
- მაგალითად, თუკი ჩათვალეთ, რომ მე-5 ნომრით აღნიშნულ აქტივობას შეესაბამება ის მიზანი, რომელიც აღნიშნულია „გ“ ასოთი, მაშინ პასუხების ფურცელზე უნდა მოძებნოთ მე-5 აქტივობის შესაბამისი სვეტი და ამ სვეტში პასუხების **(გ)** რიგის შესატყვის უჯრედში ჩასვათ X ნიშანი (იხ. ნიმუში).

26-ე დავალების პასუხების გადატანის ნიმუში:

26.

	1.	2.	3.	4.	5.
ა)	☐	☐	☐	☐	☐
ბ)	☐	☐	☐	☐	☐
გ)	☐	☐	☐	☐	☒
დ)	☐	☐	☐	☐	☐
ე)	☐	☐	☐	☐	☐
ვ)	☐	☐	☐	☐	☐
ზ)	☐	☐	☐	☐	☐
თ)	☐	☐	☐	☐	☐

დანარჩენი დავალებების პასუხების გადატანის წესი მოცემულია ზემოთ, იხ. გვ. 18-19.

საგამოცდო ტესტის ნიმუში

I. მოსმენა (11 ქულა)

მოისმინეთ ტექსტი. წაიკითხეთ კითხვები და მოცემული ვარიანტებიდან შემოხაზეთ სწორი პასუხები (ტექსტის მოსასმენად გამოიყენეთ ბმული).

(1) **1. ფრანკფურტი არის:**
ა) თბილი და მზიანი ქალაქი.
ბ) მშვიდი და მყუდრო ქალაქი.
გ) პატარა და საქმიანი ქალაქი.
დ) საქმიანი და ხმაურიანი ქალაქი.

(1) **2. კვირა დღეს ფრანკფურტის ქუჩებში უჩვეულო ხალხმრავლობა იყო, რადგან:**
ა) ახალგაზრდული ფესტივალი ეწყობოდა.
ბ) თბილი და მზიანი ამინდი იყო.
გ) სტუდენტური კარნავალი ეწყობოდა.
დ) წიგნის ბაზრობა ეწყობოდა.

(1) **3. მეტროს სადგურში მთხრობელს დახვდა:**
ა) გერმანიაში მცხოვრებ ქართველ სტუდენტთა ჯგუფი.
ბ) კვირა დღისათვის დამახასიათებელი მშვიდი გარემო.
გ) სამუშაო დღისათვის დამახასიათებელი ხმაურიანი გარემო.
დ) ფერადი და ამაღელვებელი სანახაობა.

(1) **4. წიგნის ბაზრობა მხიარულ სანახაობად და ზეიმად აქცია:**
ა) ბაზრობის სტუმარი ქვეყნის – ბრაზილიის მონაწილეობამ.
ბ) საკარნავალო კოსტიუმებში გამოწყობილი ახალგაზრდების მონაწილეობამ.
გ) შემოდგომის უჩვეულოდ თბილმა და მზიანმა ამინდმა.
დ) ფოტოგრაფების, ჟურნალისტებისა და დამთვალიერებლების სიმრავლემ.

(1) **5. მთხრობელმა ძლივს გაიკვლია გზა ქართულ სტენდამდე, რადგან:**
ა) სწორედ ამ დროს ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტი მივიდა.
ბ) სწორედ ამ დროს განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო.
გ) სწორედ ამ დროს დამთვალიერებლებს აღარ უშვებდნენ.
დ) სწორედ ამ დროს სტენდებიდან წიგნებს იღებდნენ.

(1) **6. ქართული დელეგაციის წევრები სპეციალურ ყუთებში ათავსებდნენ წიგნებს:**
ა) ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტისათვის.
ბ) გერმანიაში მცხოვრები ქართველი სტუდენტებისათვის.
გ) სხვადასხვა ქალაქის ბიბლიოთეკებში გასაგზავნად.
დ) უკან, საქართველოში, გასაგზავნად.

(1) **7. ორი საათისათვის საქართველოს სტენდთან შეიკრიბნენ:**
ა) სამინისტროს თანამშრომლები.
ბ) ფოტოგრაფები და ჟურნალისტები.
გ) ქართველი მწერლები.
დ) ქართველი სტუდენტები.

(1) **8. წიგნის ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტმა საქართველოს დელეგაციის წევრებს მადლობა გადაუხადა:**
ა) ახალგაზრდების გამოგზავნისათვის.
ბ) ბაზრობაში მონაწილეობისათვის.
გ) მხიარული სანახაობისათვის.
დ) საინტერესო პროგრამისათვის.

(1) **9. საქართველოს დელეგაციის წევრებისათვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო:**
ა) გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტებთან შეხვედრა.
ბ) მათთან დასამშვიდობებლად ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტის მისვლა.
გ) საკარნავალო კოსტიუმებში გამოწყობილ ახალგაზრდებთან შეხვედრა.
დ) ქართველი ახალგაზრდა ლიტერატორების დაჯილდოება.

(1) **10. როდის იმართება ფრანკფურტის ბაზრობა?**
ა) გაზაფხულზე.
ბ) შემოდგომაზე.
გ) წლის ბოლოს.
დ) წლის დასაწყისში.

(1) **11. მოცემული ტექსტის მიზანია:**
ა) ავტორის პირადი შთაბეჭდილებების გაცნობა.
ბ) ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის რეკლამირება.
გ) ქართველი ლიტერატორების წარმატების შესახებ ინფორმაციის მოწოდება.
დ) წიგნის ბაზრობის შესახებ ოფიციალური ცნობების წარმოდგენა.

II. კითხვა (28 ქულა)

(10) **ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან „ფიროსმანი“:**

იმ შემოდგომას ერთი ფრანგი მოცეკვავე ქალი ჩამოვიდა, მარგარიტა ერქვა. ცეკვით ხომ ცეკვავდა, ლამაზი იყო – მთელი თბილისი გადარია. ეს გაფცქვნილი თავადები და თავქარიანი სტუდენტები უკანასკნელ ხონჯრებსაც კი აგირავებდნენ, ოღონდ ამ ქალისთვის ერთხელ მაინც მოეკრათ თვალი. თეატრის წინ ზედახორა ჰქონდათ გამართული. იყო ხორხოცი, ბილწსიტყვაობა, ჟინიანი ხვიხვინი და ათასი სხვა ოხრობა.

აბა, ფიროსმანი რაღა დღეში ჩავარდებოდა – ლამაზი რამის გულისთვის ეშმაკსაც კი რომ მიჰყიდიდა სულს! ტყავი გაიძრო, ვიღაც სპეკულანტი ააშენა და პარტერის პირველ რიგში გამოიჭიმა.

ზის და ელოდება.

აიხადა ფარდა. გამოჩნდა ის დედოფალასავით თვალებფოფინა მარგარიტა. დარბაზმა იქუხა, ვიღაც-ვიღაცები დასაბმელები გახდნენ. ფიროსმანი კი ზის და მარტო ის ემჩნევა, რომ წელში იმართება და სახე ებადრება თანდათან. ასე ამაღლებული, სახეგაბრწყინებული იჯდა პირველ განყოფილებაზე, ანტრაქტზე, მეორე განყოფილების დაწყებისას... მერე უცებ წამოდგა, უკან გაიყოლა უამრავი დამცინავი თვალი და გარეთ გავარდა. თავისი ღვინის სარდაფი, მთელი უძრავ-მოძრავით, ვიღაც სომხის მიკიტანს მიაჩეჩა, სურათები იყო თუ იარაღები, ისიც ზედ მიაყოლა, აღებული ფულით მებაღეებს და საყვავილეებს ჩამოუარა, რაც კი თბილისში შემოდგომური ყვავილები იყო, მთლიანად იყიდა, ათი ეტლი დააზვინინა და სასტუმრო „პალას-ოტელს“ მიაყენა.

წარმოდგენის შემდეგ ბანკეტი ჰქონდათ. მარგარიტას იქ შეგვიანებოდა და სასტუმროში გათენებისას დაბრუნდა. ყვავილებით სავსე ეტლები სასტუმროს წინ ასე ორ მწკრივად იდგა.

– მეჩვენება თუ რა არისო, – შიშით შეჩერდა მარგარიტა, მაგრამ ამ დროს ქართულ ქულაჯაში გამოწყობილი ბიჭი წარუდგა წინ, ერთი დიდი ხავერდოვანი ვარდი მიართვა და თავაზიანად მოახსენა:

– ამ ვარდს და ამ ყვავილებს მხატვარი ფიროსმანი გიძღვნით თქვენო.

მარგარიტა არაერთი ევროპელი თავიგლეჯია ვაჟკაცის დარდიმანდობის მიზეზი ყოფილა, მაგრამ ასეთ რამეს მაინც პირველად ხედავდა.

– მხატვარი? თვითონ მხატვარი სად არისო.

ამაზეც უბრალოდ, თავაზიანად მოახსენეს: აქ ჩვენთან, მტკვრისპირას, ბაღია, ბაღში დიდი ხეები დგას და დიდი მთვარე იცის. ფიროსმანი ახლა იქა ზის და თქვენს სადღეგრძელოს სვამსო.

ამან მთლად გადარია მარგარიტა: წავალ და მე თვითონ ვნახავო. მაგრამ ვიღაც დარბაისლებმა უდროობა მოიმიზეზეს, ვიღაცებმა ხვალინდელი დღე შეახსენეს, თვითონაც იფიქრა – ვაითუ დაღლილ-დაქანცულს ცუდი შთაბეჭდილება დაეტოვებინა მხატვარზე, რომელიც უთუოდ დიდი გემოვნების პატრონი ჩანდა, დანაღვლიანდა, განმარტოვდა და მერე თვალცრემლიანმა იმ ქართულქულაჯიან ბიჭს თავისი სურნელოვანი სადარბაზო ბარათი გაატანა „ბატონ ფიროსმანთან“: ნაშუადღევისათვის, დიდის მოწიწებით, თავისთან იწვევდა.

ფიროსმანი ცას შესწვდა სიხარულით. ვინც კი აიარ-ჩამოიარა, ყველა სუფრაზე მიიპატიჟა.

ეს დალოცვილი სასმელი უგემურად არასოდეს არ სჩვენებია, მაგრამ იმ დღეს მთლად გახელდა. ფიალას ფიალაზე სცლიდა, ტიროდა, იცინოდა, ყველაფერი ელამაზებოდა, ყველაფრის გულში ჩახუტება უნდოდა, ყველაფერზე მტლად დადებას ეპირებოდა.

გათენდა. ამოვიდა მზე.

– გეყოფა, ნაშუადღევს სხვაგან ხარ წასასვლელიო! – რამდენჯერმე შეახსენეს მეგობრებმა, მაგრამ ფიროსმანმა ნაშუადღევამდე ვერ იმყოფინა ვერც ღვინო, ვერც იეთიმ გურჯის ლექსი...

გვიან დამით წამოდგა. ქამარი გაისწორა, პიჯაკს მკლავი გაუყარა და ეტლი „პალას-ოტელისაკენ“ დააძვრევინა.

იქ შემდეგი მოახსენეს:

– ქალბატონი მარგარიტა ნაშუადღევიდან ვიღაცას ელოდა, ნერვიულობდა, წუხდა, სხვა არავინ მიუღია... ხოლო ცხრა საათზე პეტერბურგს გაემგზავრა თავის თეატრთან ერთადო.

ფიროსმანმა ეტლამდე ძლივს მიათრია მოწყვეტილი ფეხები, ზედ აბობღდა, ისევ ორთაჭალისკენ დაახვევინა, იქ ბალახზე წაიქცა, ხელადა ჩაიხუტა და გაქვავდა.

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ.

(1) **12. რამ ააფორიაქა შემოდგომის თბილისი?**
ა) გაფცქვნილი თავადების წინდაუხედაობამ.
ბ) თავქარიანი სტუდენტების თავხედობამ.
გ) ფრანგი მოცეკვავის მომხიბვლელობამ.
დ) ქართველი მხატვრის ხელგაშლილობამ.

(1) **13. რომელია ფრაზეოლოგიზმი?**
ა) „ეშმაკსაც მიჰყიდიდა სულს“.
ბ) „პირველ რიგში გამოიჭიმა“.
გ) „სადარბაზო ბარათი გაატანა“.
დ) „ფიროსმანი წელში იმართება“.

(1) **14. რომელ ფრაზაშია გადმოცემული მხატვრის განცდები?**
ა) „აღებული ფულით მებაღეებს და საყვავილეებს ჩამოუარა...“
ბ) „სურათები იყო თუ იარაღები, ისიც ზედ მიაყოლა...“
გ) „უკან გაიყოლა უამრავი დამცინავი თვალი...“
დ) „წელში იმართება და სახე ებადრება თანდათან...“

(1) **15. მხატვრის რომელი მოქმედება გახდა დასაცინი?**
ა) სპეკულანტისათვის დიდი თანხის გადახდა.
ბ) უამრავი „შემოდგომური“ ყვავილის ყიდვა.
გ) ფრანგი მოცეკვავის კონცერტის მიტოვება.
დ) ღვინის სარდაფის სახელდახელოდ გაყიდვა.

(1) **16. რამ გააოცა ფრანგი მოცეკვავე თბილისში?**
ა) ბანკეტზე მყოფთა დახვეწილმა გემოვნებამ.
ბ) თბილისელი მაყურებლის ოვაციამ.
გ) უცნობი მხატვრის უჩვეულო საჩუქარმა.
დ) ქართულმა ეროვნულმა ტანსაცმელმა.

(1) **17. უცნობი თაყვანისმცემლის საჩუქრის მიხედვით, რას მიხვდა მარგარიტა?**
ა) უცნობი გემოვნებიანი ადამიანი იყო.
ბ) უცნობი ძალიან შეძლებული იყო.
გ) უცნობი ნამდვილი დარდიმანდი იყო.
დ) უცნობი ფუქსავატი კაცი იყო.

(1) **18. რომელმა არგუმენტმა გადააფიქრებინა მარგარიტას ორთაჭალის ბაღში წასვლა?**
ა) არ ღირდა უცნობ თაყვანისმცემელს თვითონ ხლებოდა.
ბ) ბაღში მთვრალები იქნებოდნენ და თავს უხერხულად იგრძნობდა.

გ) გვიან იყო და მომავალი დღის გეგმები აერეოდა.
დ) დაღლილი ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა მხატვარზე.

(1) **19. ფიროსმანის რა თვისება გამოჩნდა ქეიფის ეპიზოდში?**
ა) დარბაისლობა.
ბ) დარდიმანდობა.
გ) თავაშვებულობა.
დ) მოკრძალება.

(1) **20. რასთან ქმნის კონტრასტს ფიროსმანის დამოკიდებულება მარგარიტას მიმართ?**
ა) ვიღაც დარბაისლების ტაქტიან რჩევასთან.
ბ) თეატრთან შეყრილი ახალგაზრდების ბილწსიტყვაობასთან.
გ) თეორქულაჯიანი ბიჭის თავაზიან მანერებთან.
დ) ფიროსმანის თანამესუფრეების მრავლისმთქმელ მინიშნებებთან.

(1) **21. რომელი ფრაზა გამოხატავს ამ ტექსტის მთავარ სათქმელს?**
ა) „ეს დალოცვილი სასმელი უგემურად არასოდეს არ სჩვენებია“.
ბ) „ლამაზი რამის გულისთვის ეშმაკსაც კი მიჰყიდიდა სულს“.
გ) „მერე უცებ წამოდგა, უკან გაიყოლა უამრავი დამცინავი თვალი“.
დ) „რაც კი თბილისში შემოდგომური ყვავილები იყო, მთლიანად იყიდა“.

(8) **22. ტექსტიდან ამოღებულია წინადადებები (1-10). აღადგინეთ ტექსტი ქვემოთ მოცემული წინადადებების მეშვეობით (ა-მ). გაითვალისწინეთ, ორი წინადადება ზედმეტია.**

ენგურჰესის მშენებლობის ისტორია

საქართველოს მდიდარი ჰიდროელექტრორესურსების გამოყენების შესახებ ფიქრი პირველად დიდმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, ნიკო ნიკოლაძემ, დაიწყო. ამ მიზნით მან თავისი შვილიც კი გამოიწვია პეტერბურგიდან საქართველოს მდინარეებზე პროფესიული ანალიზის ჩასატარებლად. საბოლოოდ, ყურადღება ენგურზე შეაჩერეს და მისი შესწავლა გადაწყვიტეს. ნიკო ნიკოლაძემ ენგურის ჰიდრორესურსების გამოყენებისათვის ბრძოლას 20 წელი შეალია. ------- (1).

ენგურზე სადგურის ასაგებად პირველი ნაბიჯები XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში გადაიდგა. ------- (2). ამ სქემის მიხედვით, ზამთრის პერიოდისათვის გარანტირებული სიმძლავრე მხოლოდ 200 მეგავატი იყო. ------- (3).

მომდევნო წელს 50-კაციანმა ექსპედიციამ ენგურისა და მისი შენაკადების ხეობების გეოლოგიური კვლევა ჩაატარა. ------- (4).

1960 წელს დამუშავდა ენგურის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენების სქემა. ------- (5).

ენგურჰესის მშენებლობა ქართული ტექნიკური აზროვნების ისტორიაში ყველაზე თამამი ჩანაფიქრის განხორციელება იყო. ეს იდეა ითვალისწინებდა უნიკალური ტექნიკური და ურთულესი საინჟინრო კომპლექსის აგებას, რასაც ბევრი სპეციალისტი ეჭვის თვალით უყურებდა. სკეპტიკოსები ამგვარი ტიპის მშენებლობას უტოპიად მიიჩნევდნენ. ------- (6). მაგრამ გავიდა დრო და... ენგურჰესის კომპლექსი უცხოეთის ქვეყნების მრავალმა დელეგაციამ მოინახულა. ------- (7).

დღეს ქვეყანა ელექტროენერგიის უმეტეს ნაწილს სწორედ ენგურჰესიდან იღებს, აფხაზეთისათვის კი ის ელექტროენერგიის ერთადერთი წყაროა. ------- (8). ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ორივე მხარე თანამშრომლობის იშვიათ მაგალითს უჩვენებს ყველას, ვისაც კონფლიქტის მოგვარება სურს.

გამოტოვებული წინადადებები:

ა) ეს, ბუნებრივია, პროექტის ნაკლად შეფასდა.
ბ) დელეგაციის წევრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბის გამო.
გ) ამიტომ ქართველები და აფხაზები ერთნაირად დაინტერესებულნი არიან, რომ ჰიდროელექტროსადგურმა შეუფერხებლად გააგრძელოს ელექტროენერგიის გამომუშავება.
დ) 1961 წელს ენგურჰესის მშენებლობა სწორედ ამ სქემის მიხედვით დაიწყო.
ე) თავდაპირველად, 1954 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტმა დაა-

მუშავა ენგურზე ჰესების მშენებლობის სქემა.

ვ) მათს ეჭვს არ იზიარებდნენ ოპტიმისტები, თუმცა მშენებლობის მასშტაბურობა და ადგილის სეისმური მდგრადობის პრობლემა მათაც აფიქრებდა.

ზ) სამწუხაროდ, მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი იდეის ხორცშესხმა შეუძლებელი აღმოჩნდა.

თ) გამოკვლევებმა ცხადყო, რომ რელიეფის არაერთგვაროვნება, სეისმომედეგობის რისკი მშენებლობისადმი განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვდა.

ი) იტალიელმა სპეციალისტებმა გამოთქვეს აზრი ენგურზე მცირე სიმძლავრის ჰესის აშენების შესახებ.

კ) მიზეზი კი მშენებლობის სიძვირეს უკავშირდებოდა.

<u>ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად:</u> 22-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით **X** ნიშანი.

(10) **23. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. აღნიშვნები გააკეთეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში *(ნიმუში მოცემულია).* იქვე მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს *(გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ).***

დიუის განათლების კონცეფცია

1. ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების სპეციალისტი ჯონ დიუი (1859-1952) არის პროგრესული განათლების იდეოლოგი. მისი განათლების კონცეფცია ორ ძირითად პრინციპს ეფუძნება: 1) განათლება უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას, რადგან ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის მომავალს და 2) განათლებას სოციალური ფუნქცია უნდა ჰქონდეს, რადგან სწორედ იდეებისა და გამოცდილების გაზიარებით მიიღწევა სოციალური პროგრესი.

2. დიუის კონცეფციის მიხედვით, განათლება გამოცდილების განვითარებაა. ნებისმიერი გამოცდილება გარკვეულწილად ცვლის ადამიანს. ყოველი ახალი გამოცდილება გავლენას ახდენს ახალი მიზნებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე. ამდენად, იგი ადამიანის განვითარების მამოძრავებელი ძალაა. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების ძირითადი მიზანია მოსწავლის იმ გამოცდილების შერჩევა, რომელიც მისი პოტენციის შემოქმედებით აქტივობას შეუწყობს ხელს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია პედაგოგის როლი. უპირველეს ყოვლისა, პედაგოგის მოვალეობაა დროულად და სათანადოდ შეაფასოს, რა მიმართულებით ვითარდება ახალგაზრდის გამოცდილება, რა ტენდენციები უყალიბდება მას, რათა განასხვაოს, მათ შორის რომელია შემდგომი ზრდისათვის ხელშემწყობი და რომელი – საზიანო.

3. ამასთანავე, სწავლების მეთოდები უნდა შეირჩეს იმის გათვალისწინებით, თუ რა სარგებლობას მოუტანს იგი კონკრეტულ ვითარებაში კონკრეტულ მოსწავლეს. ამავე დროს, პედაგოგის მოვალეობაა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურობისა და ცოდნის დონის გათვალისწინებით შეარჩიოს ისეთი აქტივობები, რომლებშიც ყოველ ინდივიდს თავისი წვლილი შეაქვს და რომლებშიც ყველა ერთად მონაწილეობს. ამ სიტუაციაში მასწავლებელს ეკისრება პასუხისმგებლობა, ისე წარმართოს მოსწავლეთა ურთიერთობები, რომ შესაძლებელი გახდეს ჯგუფის, როგორც ერთი ორგანიზმის, მუშაობა. ამგვარად, მასწავლებელი ჯგუფური საქმიანობის ლიდერის ფუნქციას იძენს.

4. ამავდროულად, პედაგოგმა უნდა იცოდეს, თუ როგორი გარემო უწყობს ხელს მოსწავლის განვითარებას, თუ როგორ გამოიყენოს არსებული ფიზიკური და სოციალური გარემო ამ მიზნისათვის. უფრო მეტიც, საჭიროა შეიქმნას განათლების ისეთი სისტემა, როცა მასწავლებელი, წიგნი, სასწავლო ინვენტარი მოემსახურება მოზარდთა მიდრეკილებების გამოვლენასა და განვითარებას.

5. გარდა ამისა, პიროვნების ზრდისათვის მეტად მნიშვნელოვანია თავისუფლების გარკვეული ხარისხი, რომლის პირობებში განვითარდება მიზნების დასახვისა და მათი განხორციელების უნარები. დიუის აზრით, ასევე მნიშვნელოვანია ისეთი თავისუფალი გარემოს შექმნა, რომელშიც ბავშვი ფიზიკურადაც თავისუფლად იგრძნობს თავს, რადგან მხოლოდ ფიზიკურად თავისუფალ გარემოში ვლინდება მოსწავლის ნამდვილი ბუნება. ხოლო სიჩუმე და უსიტყვო მორჩილება ხელს უშლის მასწავლებელს, გაიცნოს მოსწავ-

ლეები. ამგვარად, დიუის განათლების კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი იდეაა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს ე. წ. „კეთებით სწავლებისა“ და „სოციალური სწავლების“ დროს.

წინადადების №	წინადადებები	დიახ	არა	აბზაცის №
0.	ჯონ დიუის კონცეფციის მიხედვით, მოსწავლის განათლება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მის გამოცდილებას.		X	1
1.	პედაგოგს უნდა შეეძლოს ახალგაზრდის განვითარების გზის კრიტიკულად შეფასება.			
2.	მასწავლებლისადმი სრული მორჩილება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმატებულ წარმართვას.			
3.	დიუის აზრით, მოსწავლეს საკუთარი ბუნების თავისუფლად გამოვლენა ნებისმიერ გარემოში შეუძლია.			
4.	არსებითია, რომ განათლების სისტემამ უზრუნველყოს სასწავლო რესურსების გამოყენება მოზარდთა მიდრეკილებების განვითარების ხელშესაწყობად.			
5.	მასწავლებელმა სწავლების მეთოდები უნდა შეარჩოს იმ თვალსაზრისით, თუ რა სარგებლობას მოუტანს იგი კონკრეტულ სკოლას.			
6.	პედაგოგმა ისე უნდა შეარჩიოს სასწავლო აქტივობები, რომ მაქსიმალურად წარმოაჩინოს ჯგუფში ლიდერის თვისებები.			
7.	განათლება სოციალურ ფუნქციას იძენს მაშინ, როდესაც არსებობს გამოცდილების ურთიერთგაზიარების საშუალება.			
8.	მოსწავლის ყოველი ახალი გამოცდილება საფუძველია მისი შემდგომი განვითარებისა.			
9.	პედაგოგს უნდა ახსოვდეს, რომ ნებისმიერი გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას.			
10.	სასწავლო პროცესში არსებითია მოსწავლეების მაღალი აქტიურობის უზრუნველყოფა.			

III. წერა (20 ქულა)

24. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ყველაფერს საკუთარი შეხედულებების მიხედვით უნდა აფასებდე, მაგრამ საჯაროდ მხოლოდ ისე უნდა მსჯელობდე, როგორც ყველა მსჯელობს.

IV. მეთოდიკა (30 ქულა)

(10) **25. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები (სტრიქონში არა უმეტეს ერთისა). შესაბამისი სტრიქონის გასწვრივ I გრაფაში ჩაწერეთ სწორი ვარიანტი, II გრაფაში კი მიუთითეთ, რა ტიპისაა შეცდომა ან ხარვეზი.**

თუ შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √ (ნიმუში მოცემულია).

გაითვალისწინეთ: შეცდომის ტიპის ან სტილისტური ხარვეზის მითითება აუცილებელია!

ტექსტი	სწორი ვარიანტი	შეცდომის ტიპი
დმანისი ქალაქად ისტორიულ წყაროებში პირველად მე-9-ე საუკუნეში	**0.------ მე-9 -----**	**0.--ორთ.--**
იხსენიება. დმანისის მახლობლად არქეოლოგიური გათხრები XX საუკუ-	**00.------- √ --------**	**00.**----------
ნის 30-იანი წლებიდან მიმდინარეობს. აქ ნაპოვნია კვლევისთვის მნიშვნე-	1. ----------	1. ----------
ლოვანი მასალები. რამდენიმე წლის უკან დმანისში ქართველმა მეცნი-	2. ----------	2. ----------
ერებმა აღმოაჩინეს ევროპაში უძველესი ადამიანის თავის ქალა, რისი ასა-	3. ----------	3. ----------
კიც 1,6 მილიონი წლით განისაზღვრა. მალე ქართველ არქეოლოგებს რამ-	4. ----------	4. ----------
დენიმე ქვეყანის სპეციალისტებიც შეუერთდნენ. ამ საოცარმა აღმოჩენამ	5. ----------	5. ----------
შესცვალა ინფორმაცია კაცობრიობის განვითარების შესახებ.	6. ----------	6. ----------

(5) **26. ცხრილში ჩამოთვლილ თითოეულ აქტივობას შეუსაბამეთ ერთ-ერთი სასწავლო მიზანი. გაითვალისწინეთ, სამი მიზანი ზედმეტია.**

აქტივობა	**მიზანი**
1. მოსწავლეები ისმენენ „ჩ“ და „ჭ“ ბგერის შემცველ სიტყვებს და იმეორებენ მათ ჯერ მასწავლებელთან ერთად გუნდურად, შემდეგ – ინდივიდუალურად. **2.** მოსწავლეები წინადადებებში სათანადო ბრუნვის ფორმით აღადგენენ ფრჩხილებში მითითებულ სიტყვებს. **3.** მოსწავლემ შესწავლილი თემებიდან უნდა შეარჩიოს ერთ-ერთი და წარმოადგინოს ზეპირი პრეზენტაცია. **4.** მოსწავლე ისმენს აუდიოჩანაწერს და მითითებული სამი სათაურიდან ირჩევს ერთ-ერთს, რომელიც შეესატყვისება ტექსტის შინაარსს. **5.** მოსწავლეები წერენ მოთხრობას მასწავლებლის მიერ შეთავაზებული დასაწყისის მიხედვით.	**ა.** შესწავლილი ენობრივი საკითხების ცოდნის გააქტიურება. **ბ.** სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ანალიზი. **გ.** მოსწავლის შემოქმედებითი უნარის განვითარება. **დ.** მონოლოგური მეტყველების უნარის განვითარება. **ე.** ტექსტიდან კონკრეტული ინფორმაციის ამოკრებისა და დახარისხების უნარის განვითარება. **ვ.** ტექსტის ძირითადი აზრის გაგების უნარის განვითარება. **ზ.** ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების აღქმისა და სწორად წარმოთქმის უნარ-ჩვევის გამომუშავება. **თ.** სტრუქტურული მახასიათებლების გათვალისწინებით ფუნქციური ტექსტის აგება.

<u>ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად:</u> 26-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში თითოეული აქტივობის რიგით ნომერს შეუსაბამეთ მიზნის აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ აქტივობას შეესატყვისება და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით **X** ნიშანი.

(1) **27. რომელი დავალება ამოწმებს პირველკლასელის ფონოლოგიურ უნარ-ჩვევას?**

ა) იპოვეთ მოცემულ სიტყვებში ასო „ჯ“ და შემოხაზეთ წითელი ფანქრით.
ბ) მოისმინეთ მარცვლები, მათი შეერთებით შეადგინეთ სიტყვა და წარმოთქვით.
გ) მოისმინეთ სიტყვები და თითოეულს შეურჩიეთ სათანადო სურათი.
დ) მოძრავ ანბანში იპოვეთ ასო, რომლითაც იწყება სიტყვა „წიგნი“.

(1) **28. მოსწავლის რომელ უნარს ამოწმებს დავალება: დაალაგეთ მოცემული აბზაცები ისე, რომ მიიღოთ ტექსტი?**

ა) სქემატური ჩანაწერების ტექნიკის გამოყენების უნარს.
ბ) ტექსტის ნაწილებს შორის არსებული ლოგიკური კავშირების დადგენის უნარს.
გ) ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ამოცნობის უნარს.
დ) ფაქტისა და ვარაუდის ერთმანეთისაგან გამიჯვნის უნარს.

(1) **29. თქვენი მიზანია შეამოწმოთ, როგორ გაიგო და გაიაზრა მოსწავლემ ინფორმაციული ტექსტი. ჩამოთვლილი ოთხი აქტივობიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი და დაასაბუთეთ მისი ეფექტიანობა.**

1) მოსწავლეები ასრულებენ დახურული ტიპის ტესტურ დავალებას.
2) მოსწავლეები მსჯელობენ, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი წაკითხულ ტექსტში.

3) მოსწავლეები სქემის მიხედვით ახარისხებენ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას.
4) მოსწავლეები უპასუხებენ ტექსტის შინაარსის მიხედვით დასმულ შეკითხვებს.

---

(3) **30. წაიკითხეთ ტექსტი:**

25 ნოემბერი, ორშაბათი

დღეს, როგორც ყოველთვის, მე და გიორგიმ 8 საათზე ვისაუზმეთ და სკოლაში წავედით. სკოლა სახლთან ახლოს არის, ამიტომ ჩვენ ფეხით მივდივართ ხოლმე. გზაში ჩვენს ყოფილ კლასელს შევხვდით. მოვილაპარაკეთ, რომ გაკვეთილების შემდეგ ერთად გაგვეტარებინა დრო. სამწუხაროდ, დათომ ვერ შეძლო მოსვლა. ძალიან დამწყდა გული.

ა) განსაზღვრეთ, რომელი საკითხის შესასწავლად ან რა უნარის გამოსამუშავებლად გამოიყენებთ მოცემულ ტექსტს.

ბ) დაასაბუთეთ, რომ ეს ტექსტი დაგეხმარებათ ამ მიზნის მიღწევაში.

---

(2) **31. მოსწავლეებს უჭირთ წაკითხული ტექსტის შინაარსის თხრობა.**

ა) დაასახელეთ ამ პრობლემის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი.

ბ) აღწერეთ აქტივობა, რომლითაც დაეხმარებით მოსწავლეებს ამ პრობლემის დაძლევაში.

---

(3) **32. მოსწავლემ დაწერა წინადადებება:** *მე საღამოობით კომპიუტერით ერთობა.*

ა) დაწერეთ, რა უნდა იცოდეს მან, რომ არ დაუშვას ამ ტიპის შეცდომა.

ბ) აღწერეთ ერთ-ერთი აქტივობა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ამ ტიპის შეცდომის დაძლევაში.

---

(2) **33. მოსწავლემ ზმნას *„ხატავს“* შეუწყო პირები:** *მან მას.*

აუხსენით მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს მან, რომ არ დაუშვას ამ ტიპის შეცდომა.

---

(2) **34. მოსწავლემ შეადგინა წინადადება:** *მწერალმა სკოლის ბიბლიოთეკას რამდენიმე წიგნები საჩუქრად გადასცა.*

ა) გაუსწორეთ მოსწავლეს შეცდომა.

ბ) დაწერეთ, რა უნდა იცოდეს მან, რომ არ დაუშვას ამ ტიპის შეცდომა.

V. ლაპარაკი (11 ქულა)

სასერტიფიკაციო გამოცდის ლაპარაკის ნაწილი არ ჩატარდება ტესტის პირველ 4 ნაწილთან ერთად, იგი სხვა დროს გაიმართება.

დავალებათა პირობები გამოტანილი იქნება კომპიუტერის ეკრანზე და, ამდენად, საშუალება მოგეცემათ, რომ ერთდროულად მოისმინოთ და წაიკითხოთ კიდეც ისინი.

სასერტიფიკაციო გამოცდის ლაპარაკის ნაწილის დავალებათა ნიმუშები იხ. ამ კრებულის მე-16 გვერდზე.

ტესტის ნიმუშის პასუხები

I. მოსმენა

მოსმენილი ტექსტი

13 ოქტომბერი, კვირა.

ფრანკფურტისთვის უჩვეულოდ თბილი და მზიანი კვირა დღე გათენდა. ჩვეულებისამებრ, დილას ადრე ვდგები და წიგნის ბაზრობაზე წასასვლელად ვემზადები. კვირაა, მაგრამ საქმიანი და ხმაურიანი ქალაქი, რომელსაც კვირა დილას, წესით, მშვიდი და ღრმა ძილით უნდა ეძინოს, ათი საათისთვის უჩვეულოდ ხალხმრავალია. ლაიფციგერ შტრასეზე სადგურისკენ მივემართები და ესკალატორით ნელ-ნელა ჩავდივარ მეტროს სადგურში. ფერადი და ამაღელვებელი სანახაობა იშლება ჩემ თვალწინ, ათობით ახალგაზრდა – საკარნავალო ტანისამოსში გამოწყობილი სტუდენტები, მოსწავლეები – სწორედ იმ მატარებელს ელოდება, რომელსაც წიგნის ბაზრობისკენ მივყავართ. სულ ორიოდე გაჩერებაა Messe-მდე, სადაც ყოველ წელს იმართება მსოფლიოში უდიდესი წიგნის ბაზრობა) და ყოველ ახალ გაჩერებაზე კოსტიუმირებულ ახალგაზრდათა ახალი ნაკადი გვიერთდება. ზღაპრის გმირები, მითოლოგიური პერსონაჟები თუ ჩემთვის უცნობი სხვა გმირები სწორედ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ცენტრალურ ეზოში იყრიან თავს და არაერთი ფოტოგრაფისთვის თუ ჩვეულებრივი დამთვალიერებლისთვის პოზიორობენ, ერთობიან, მღერიან და ნამდვილ ზეიმად აქცევენ წიგნის ბაზრობის დაძაბულსა და საქმიან დღეებს.

დღეს განსაკუთრებული ხალხმრავლობაა და მეც ვცდილობ, კოსტიუმირებული ახალგაზრდების ტალღაში გზა გავიკვლიო ჩვენი ეროვნული სტენდისკენ, რაც არცთუ ისე იოლი საქმეა. დარბაზში რიგითი ნომრით 5.0, სტენდი B96 საქართველოს პატარა კუნძულია ამ უზარმაზარ წიგნის სამყაროში. სტენდთან, ჩვეულებისამებრ, დილიდანვე საქმიანობენ თამუნა და ირინა. გერმანიაში მცხოვრები ქართველი სტუდენტებისთვის სპეციალურ ყუთებში აწყობენ ქართულ წიგნებს, რომლებიც სულ რამდენიმე დღეში უკვე ბერლინის, მიუნხენისა თუ ფრანკფურტის პატარა ქართულ ბიბლიოთეკებში დაიდებენ ბინას.

ორი საათისთვის სტენდზე ნელ-ნელა გვიერთდებიან ქართველი მწერლებიც. ერთმანეთს ვუზიარებთ წინა დღეების შთაბეჭდილებებს და ემოციებს. ზოგიც ბოლო დღეს კიდევ ერთხელ ცდილობს, თვალი შეავლოს მათთვის საინტერესო უცხოური გამომცემლობების სტენდებს, მოინახულოს წლევანდელი ბაზრობის სტუმარი ქვეყნის – ბრაზილიის – პავილიონი და ფრანკფურტი კიდევ უფრო მძაფრი შთაბეჭდილებებით დატოვოს.

მე კი სტენდზე ჩემი საქმეები დამრჩა დასამთავრებელი: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული წიგნები სტენდიდან უნდა ჩამოვიღო, ყუთებში ჩავაწყო და მარკერით დავაწერო „2014 წლის ლაიფციგის ბაზრობაზე გასაგზავნი“. სწორედ ამ დროს, დასამშვიდობებლად, შემოგვიარა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტმა ტობიას ფოსმა, რომელმაც საქართველოს დელეგაციის წევრებს მადლობა გადაგვიხადა საინტერესო პროგრამის ორგანიზებისთვის და კიდევ ერთხელ მოგვილოცა თამთა მელაშვილის და ნათია მიქელაძე-ბახსოლიანის მიერ ახალგაზრდულ ლიტერატურაში გერმანიის ეროვნული პრემიის მოპოვება. ამ პრემიამ მართლაც დააგვირგვინა ჩვენი ვიზიტის მთელი პროგრამა. ძნელი აღსაწერია ის სიხარული, რომელიც 11 ოქტომბერს განვიცადეთ, როცა ასეთი პრესტიჟული პრემიის მფლობელი ორი ქართველი ლიტერატორი გახდა.

გზად აეროპორტისკენ კიდევ ერთხელ ვაანალიზებ ჩვენი ვიზიტის ყველა დეტალს და „დავთარში“ ვინიშნავ ახალ-ახალ იდეებს, რომლებიც გზადაგზა მომდის თავში. რა იცი, როდის გამომადგება... წიგნის დღეები ფრანკფურტში ოქტომბრისთვის უჩვეულო თბილი და მზიანი კვირა დღით მთავრდება.

დეა მეტრეველი – ფილოლოგი (თავისუფლების დღიურები)

სწორი პასუხები:

1. დ) -------- 1ქ. **2.** დ) -------- 1ქ. **3.** დ) -------- 1ქ. **4.** ბ) -------- 1ქ. **5.** ბ) -------- 1ქ. **6.** ბ) --------- 1ქ.
7. გ) --------- 1ქ. **8.** დ) -------- 1ქ. **9.** დ) -------- 1ქ. **10.** ბ) -------- 1ქ. **11.** ა) -------- 1ქ.

II. კითხვა

12. გ) -1ქ. **13.** ა) -1ქ. **14.** დ) -1ქ. **15.** გ) -1ქ. **16.** გ) -1ქ. **17.** ა) -1ქ. **18.** დ) -1ქ. **19.** ბ) -1ქ. **20.** ბ) -1ქ. **21.** ბ) -1ქ.

22. 1) ზ ---- 1ქ. 2) ე ---- 1ქ. 3) ა ---- 1ქ. 4) თ ---- 1ქ. 5) დ ---- 1ქ. 6) ვ ---- 1ქ. 7) ბ ---- 1ქ. 8) გ ---- 1ქ.

23.

№	წინადადებები	დიახ	არა	აბზ.№
1	პედაგოგს უნდა შეეძლოს ახალგაზრდის განვითარების გზის კრიტიკულად შეფასება.	X		2
2	მასწავლებლისადმი სრული მორჩილება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმატებულ წარმართვას.		X	5
3	დიუის აზრით, მოსწავლეს საკუთარი ბუნების თავისუფლად გამოვლენა ნებისმიერ გარემოში შეუძლია.		X	5
4	არსებითია, რომ განათლების სისტემამ უზრუნველყოს სასწავლო რესურსის გამოყენება მოზარდთა მიდრეკილებების განვითარების ხელშესაწყობად.	X		4
5	მასწავლებელმა სწავლების მეთოდები უნდა შეარჩიოს იმ თვალსაზრისით, თუ რა სარგებლობას მოუტანს იგი კონკრეტულ სკოლას.		X	3
6	პედაგოგმა ისე უნდა შეარჩიოს სასწავლო აქტივობები, რომ მაქსიმალურად წარმოაჩინოს ჯგუფში ლიდერის თვისებები.		X	3
7	განათლება სოციალურ ფუნქციას იძენს მაშინ, როდესაც არსებობს გამოცდილების ურთიერთგაზიარების საშუალება.	X		1
8	მოსწავლის ყოველი ახალი გამოცდილება საფუძველია მისი შემდგომი განვითარებისა.	X		2
9	პედაგოგს უნდა ახსოვდეს, რომ ნებისმიერი გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას.		X	4
10	სასწავლო პროცესში არსებითი მომენტია მოსწავლეების მაღალი აქტიურობის უზრუნველყოფა.	X		5

III. წერა

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები იხ. ზემოთ, გვ. 11-13.

IV. მეთოდიკა

25.

სწორი ვარიანტები		ქულები	შეცდომების ტიპები	ქულები
1.	√	1ქ.	–	–
2.	წინ	1ქ.	სტილ.	1ქ.
3.	რომლის	1ქ.	სინტ.	1ქ.
4.	√	1ქ.	–	–
5.	ქვეყნის	1ქ.	მორფ.-ორთ.	1ქ.
6.	შეცვალა	1ქ.	მორფ.-ორთ.	1ქ.

26. 1) ზ ---- 1ქ. 2) ა ---- 1ქ. 3) დ ---- 1ქ. 4) ვ ---- 1ქ. 5) გ ---- 1ქ.

27. ბ) ----------1ქ.
28. ბ) ----------1ქ.
29. აქტივობის ეფექტიანობის დასასაბუთებლად ჩამოყალიბებულია ერთი არგუმენტი მაინც. ----------1ქ.
აქტივობის ეფექტიანობის დასასაბუთებლად არ არის ჩამოყალიბებული არც ერთი არგუმენტი. -----0ქ.
30. ა) დასახელებულია შესასწავლი საკითხი ან გამოსამუშავებელი უნარ-ჩვევა. ----------1ქ.
არ არის დასახელებული შესასწავლი საკითხი ან გამოსამუშავებელი უნარ-ჩვევა. ----------0ქ.
ბ) დასაბუთება არგუმენტირებულია. ----------2ქ.
დასაბუთება ნაწილობრივ არის არგუმენტირებული. ----------1ქ.
დასაბუთება არ არის არგუმენტირებული. ----------0ქ.
31. ა) დასახელებულია პრობლემის გამომწვევი მიზეზი. ----------1ქ.
არ არის დასახელებული პრობლემის გამომწვევი მიზეზი. ----------0ქ.
ბ) აღწერილია აქტივობა. ----------1ქ.
არ არის აღწერილი აქტივობა. ----------0ქ.
32. ა) როდესაც ზმნა პირველი პირის მოქმედებას გამოხატავს, მას უნდა დავურთოთ პირის ნიშანი *(თავსართი / პრეფიქსი)* - ვ. სწორი ფორმაა – ვერთობი. ----------2ქ.
ნაწილობრივ სწორი პასუხი. ----------1ქ.
არასწორი პასუხი. ----------0ქ.
33. *ხატავს* ახლანდელი დროის (აწმყოს) ფორმაა. ამ დროში ზმნას სუბიექტი შეეწყობა სახელობითი ბრუნვის ფორმით: ხატავს *ის მას.* ----------2ქ.
ნაწილობრივ სწორი პასუხი. ----------1ქ.
არასწორი პასუხი. ----------0ქ.
34. ა) *მწერალმა სკოლის ბიბლიოთეკას რამდენიმე წიგნი საჩუქრად გადასცა.* ----------1ქ.
ბ) როდესაც სახელს მსაზღვრელად ახლავს რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა, საზღვრული მხოლობით რიცხვში დგას. ----------1ქ.

V. ლაპარაკი

ტესტის ლაპარაკის ნაწილის შეფასების კრიტერიუმები იხ. ზემოთ, გვ. 15-16.

ქართული, როგორც მეორე ენა 2014

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 100, ხოლო ამ ბუკლეტში მოცემული დავალებებისა - 89.

გაითვალისწინეთ, რომ გამოცდა ხუთი ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, მეთოდიკა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა ხუთივე ნაწილში.
ასევე აუცილებელია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა მთლიან ტესტშიც.

№№ 1-21 და №№ 27-28 დავალებების პასუხები შეგიძლიათ შემოხაზოთ ტესტის ბუკლეტში და პასუხების ფურცელზე შემდეგნაირად გადაიტანოთ: ყოველი დავალების ნომრის ქვეშ განთავსებულ უჯრედებში **X** ნიშანი უნდა დასვათ იმ უჯრედში, რომელიც, თქვენი აზრით, სწორ პასუხს შეესაბამება.
<u>პასუხების გადატანისას არ აგერიოთ დავალებების ნომრები!</u>
პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში მთლიანად გააშავეთ არასწორად მონიშნული უჯრედი და იმავე ნომრის ქვეშ მონიშნეთ სხვა.

№№ 22, 23, 25 და 26 დავალებების პასუხები შესაბამის ნომრებთან განთავსებულ ცხრილებში უნდა გადაიტანოთ (ამასთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით მითითებებს ტესტის ბუკლეტში იხილავთ).

№№ 29-34 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე (ტესტის ბუკლეტში დატოვებულია ხაზები შავი სამუშაოს შესასრულებლად). იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილები.

№ 24 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული.
იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილი!
ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც ტესტის ბუკლეტში ადგილია დატოვებული შავი ვარიანტის დასაწერად.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელზე!
გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომელიც პასუხების ფურცელზე საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!
<u>არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი</u> და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. მოსმენა (11 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ და შემოხაზეთ სწორი პასუხი. უმჯობესია დავალება ტექსტის მოსმენის დროს შეასრულოთ.
ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე. (ტექსტის მოსასმენად გამოიყენეთ ბმული).

(1) **1. ბავშვის საქციელის მოტივი შეიძლება დავადგინოთ:**
ა) მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით.
ბ) მის ქცევაზე დაკვირვებით.
გ) პრობლემების შესახებ საუბრით.
დ) საუკეთესო მრჩევლებთან კონსულტაციით.

(1) **2. ბავშვებს, ჩვეულებრივ, არ უყვართ იმის კეთება:**
ა) რასაც განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება.
ბ) რასაც მათ მასწავლებელი ავალებს.
გ) რაშიც მუდმივად მარცხს განიცდიან.
დ) რაშიც წარმატებას ადვილად აღწევენ.

(1) **3. მარცხისა და წარუმატებლობის გამო მოსწავლეს:**
ა) ეკარგება გართობის სურვილი.
ბ) ეკარგება სწავლის სურვილი.
გ) უჩნდება სწავლის სურვილი.
დ) უჩნდება ცელქობის სურვილი.

(1) **4. სწავლისადმი დადებითი განწყობის შესანარჩუნებლად ბავშვს ისეთი დავალებებიც უნდა შევთავაზოთ:**
ა) რომლებიც ანალიზს მოითხოვს.
ბ) რომლებიც ძნელი შესასრულებელია.
გ) რომლებსაც სწრაფად დაასრულებს.
დ) რომლებსაც წარმატებით დაძლევს.

(1) **5. დაწყებით კლასებში ბავშვის სოციალურ სტატუსს ყველაზე მეტად განსაზღვრავს:**
ა) მეგობრებისადმი დამოკიდებულება.
ბ) მისი ინტერესები.
გ) სკოლაში მისი ქცევა.
დ) სწავლაში მისი წარმატებები.

(1) **6. ბავშვის თვითრეალიზაციას განსაკუთრებით უშლის ხელს ის, რომ:**
ა) იგი ვერ ახერხებს ყურადღების მიქცევას.
ბ) მას თავიდანვე „სუსტის“ იარლიყი მიეკერება.
გ) მასწავლებელი ინტერესს არ იჩენს მის მიმართ.
დ) მას წარმატებისათვის სერიოზული ძალისხმევა სჭირდება.

(1) **7. ბავშვი განსაკუთრებით აქტიურად ზრუნავს თავისი სოციალური სტატუსის დასამკვიდრებლად:**
ა) გარდამავალი ასაკის დასაწყისში.
ბ) სკოლამდელი სწავლების ეტაპზე.
გ) სკოლის დამამთავრებელ კლასში.
დ) სწავლების საწყის ეტაპზე.

(1) **8. თუ სწავლაში ვერ აღწევენ წარმატებას, მოზარდები ხშირად:**
ა) არაფერს აკეთებენ თავიანთი მდგომარეობის შესაცვლელად.
ბ) მიმართავენ პედაგოგს პრობლემის მოგვარების მიზნით.
გ) სანიმუშო ქცევით ცდილობენ პატივისცემის დამსახურებას.
დ) უდისციპლინობით ცდილობენ თავის გამოჩენას.

(1) **9. როდესაც ბავშვები ხელს უშლიან მასწავლებელს, მათი მთავარი მიზანია:**
ა) თანატოლების აღიარების მოპოვება.
ბ) თანატოლებისათვის ხელის შეშლა.
გ) მასწავლებლისათვის „ბრძოლის“ გამოცხადება.
დ) ყოველგვარი საშუალებით გართობა.

(1) **10. მოსწავლისათვის მთავარია, რომ თვითრეალიზაციის მოთხოვნილებას იკმაყოფილებდეს:**
ა) მეგობრების წრეში.
ბ) სასწავლო პროცესში.
გ) სკოლის გარეთ.
დ) სხვადასხვა საქმიანობით.

(1) **11. ტექსტში დასმული მთავარი პრობლემა ეხება:**
ა) მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობას.
ბ) მშობლებისა და შვილების ურთიერთობას.
გ) სკოლისადმი მოსწავლეების უარყოფით დამოკიდებულებას.
დ) სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას.

II. კითხვა (28 ქულა)

(10) **ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან „კედელი“:**

აკაკი წერეთელი სხვიტორში იყო, თავის სამშობლო სოფელში. ოქტომბერი იწურებოდა, წვრილი წვიმების, მსუბუქი ნისლებისა და წითელ-ყვითელი ფერების თვე. ხანდახან ნოტიო ნიავიც წამოუბერავდა, ხილნარის ფოთლებს დაბლა ჰყრიდა და მერე ცდილობდა, მიწა-მიწა წაეღო.

აკაკი უთენია დგებოდა. ბებრული ფათურით აანთებდა ლამპას, მიუჯდებოდა სამუშაო მაგიდას და ხან შუბლზე ხელმიბჯენილი კითხულობდა, ხანაც ოდნავ გვერდზე გადახრილი წერდა.

მაგიდა ფანჯარასთან ედგა. ზედ წიგნები, ქაღალდები, საწერ-კალამი, გახსნილი კონვერტები, პატარა დანა და ქინძისთავები ეწყო. ფანჯრიდან მთის ფერდობი მოჩანდა. მთას მაღლა მუხნარი გადავლებოდა, ქვემოთ და ქვემოთ კი რცხილის ბუჩქები იყო გაფანტული. იმ ბუჩქებში, ჯერ ისევ გათენების ბინდში, ანდა ზემოდან საცეცებჩამოწვდილ ნისლში, თხები გამოჩნდებოდნენ, დაქივქივებდნენ, უკანა ფეხებზე შემდგარნი ეწვდებოდნენ რცხილის ნორჩ ყლორტებს... გაივლიდნენ გამხდარი, დაფიქრებული ბოჩოლები. აირბენდა შოლტიანი ბიჭიც. აჰყვებოდნენ აღმა ამავალ ბილიკს წელში წალდგარჭობილი სხვა ბიჭებიც, კაცებიც, ზოგჯერ თავსაფრით პირახვეული ქალებიც. ცოტა ხანში, ოთხად მოღუნულები, ფერდობზე ჩამოატარებდნენ შეშის გუდურებს, ჩამოათრევდნენ ფიჩხს ანდა ტოტებშესხეპილ მოზრდილ ხეებს. ზემოდან მომავლები ყველანი მორბოდნენ, აქეთ-იქით არ იხედებოდნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება ჩქარა ჩაჰფარებოდნენ ბუჩქებს და ბექობებს.

ბიჭების უმეტესობა ფეხშიშველი იყო, შარვლის ტოტები აეკარწახებინათ და დაურიდებლად „მოსუსხურებდნენ“ ხმელ, ეკლიან ბალახებში.

უყურებდა მოხუცებული, მოტეხილი პოეტი, თითქოს მას ჩხვლეტდნენ ეკლები, თანაც ფეხებში კი არა, გულში, და გული ეკუმშებოდა, ეწურებოდა, უთავდებოდა ტკივილით.

შემოვიდოდა მოურავი კოწია, სალამს იტყოდა, იდგა, ჩოხის ქილებზე ისვამდა ხელს, მერე ისიც გაიხედავდა ფანჯარაში და მოჰყვებოდა წუწუნს.

– გაკაფეს, ბატონო, ყველაფერი. ათი-თხუთმეტი წელიწადი და ხე აღარ დარჩება, სიცხეში რომ თავი შეაფაროს შეწუხებულმა კაცმა. სულ დაიხრამება ეს ფერდობები, ნიაღვრები წაიღებს ყანებს, უტყეოდ რაღა ქართული სოფელი იქნება ჩვენი სოფელი...

აკაკი მორჩილად მიაპყრობდა დაღლილ, დასუსტებულ თვალებს.

– უნდა ავუხსნათ, კოწია, თვითონ გლეხობას უნდა შევაგნებინოთ ეს გარემოება.

– ვუხსნი, ბატონო, სულ მაგას ვუჩიჩინებ ყოველდღე, მაგრამ ვინღაა ახლა ჩვენი დამჯერი! რიდი აღარა აქვთ და შიში: გლეხს კიდევ, ბატონო, თუ შიში არა აქვს რამის, რა დააკავებს სხვა! ერთი რომ ერთ ხეს მოჭრის, მეორე სამის მოჭრას ცდილობს, არ უნდა, სულ მცირეზე ჩამორჩეს მეზობელს.

აკაკი ადგებოდა, ხელჯოხს აიღებდა და ბოლთის ცემას იწყებდა დიდ, სევდიან ოთახში.

– ძნელია, კოწია, ძალიან ძნელი, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი უნდა შევეცადოთ, ჩვენცა და გლეხებიც...

შეკრიბეს სოფლის თავკაცები, გაუშალეს სუფრა, დასხდნენ, ისაუბრეს – შინაურულად, ნათესავურად, მამაშვილურად. ყველა შეწუხებული იყო. უტყეოდ რაღა სოფელი იქნება ჩვენი სოფელიო. პირობა დადეს, ახლომახლო არც ერთ ჯანსაღ ხეს აღარ მოჭრიდნენ, მაგრამ სამი დღეც არ გასულა, ისევ ჩამოატარეს ბიჭებმა და ქალებმა ნედლი გუდურები. ერთმა ქვრივმა ქალმა კინაღამ ფრჩხილებით ამოკორტნა თვალები კოწიას. შემოვიდა კოწია, გული ყელში ჰქონდა მობჯენილი:

– არაო მათრახი და, ა! შეხედეთ, ბატონო, შეხედეთ!

ჩამოდიოდა ფერდობზე ორი პატარა, საცოდავი ბიჭი, ხელუღელისთვის გამოებათ ახალმოჭრილი, გრძელი, სუფთა ლატანი და მოათრევდნენ, მოარბენინებდნენ.

აკაკი გამტკნარებული იდგა. მერე თქვა:

– ცხენი შემიკაზმეთ!

შეუკაზმეს დის, ანას, წყნარი, ღონიერი ცხენი. შეჯდა, ნელა გავიდა ჭიშკარში, ნელა აუყვა მთის ფერდობს...

ნაშუადღევს დაბრუნებული კიდევ უფრო დაბერებული და მოტეხილი ჩანდა. განაწყენებული კოწია რაღაცებს ეკითხებოდა. აკაკი არ პასუხობდა. ავიდა მაღლა, საჭმელზე უარი თქვა, დაწვა, კედლისკენ გადაბრუნდა.

მეორე დღეს კი ფანჯარა ნახევრად ამოაშენებინა გარედან.

ახლა მაგიდასთან მჯდარი მოხუცი პოეტი შეულესავ კედელს, მთის თავზე გავლებულ ჩამუქებულ მუხნარს და მოწყენილ ცასღა ხედავდა.

თუ სიმშრალე იყო, ჩადიოდა ბაღში. დადიოდა ლანდივით ჩუმად. გაჩერდებოდა, იყურებოდა მაღლა, დასცქეროდა მიწას. მიწაზე ნიავი აწვალებდა უკვე გამხმარ, დამსუბუქებულ ფოთლებს, – ცდილობდა დაეძრა, ვერ ძრავდა. პოეტი ნიავს ხელჯოხით ეხმარებოდა. ფოთლებს ჯოხის წვერს აჰკრავდა, ნიავი გაიხარებდა, ფოთლებს რამდენიმე ნაბიჯზე წააფრიალებდა.

პოეტს დამცინავად ეღიმებოდა.

მერე ისევ დაფიქრებული იდგა.

შეხედავდა ნახევრად ამოშენებულ ფანჯარას კოწია და გაუგებრობის ნიშნად გაშლიდა ხელებს.

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

(1) **12. რა არის პირველი აბზაცის ფუნქცია?**

ა) აკაკის სოფელში ცხოვრების მოტივის არგუმენტირება.
ბ) გვიანი შემოდგომის სურათის აღწერა.
გ) პოეტის ცხოვრების ერთი ეპიზოდის მოთხრობა.
დ) შემოდგომის კლიმატის თავისებურებაზე მსჯელობა.

(1) **13. რაზე მიანიშნებს ის, რომ ადამიანები მთიდან სირბილით ბრუნდებოდნენ და ცდილობდნენ ბუჩქებსა და ბექობებს ჩაჰფარებოდნენ?**

ა) უნდოდათ დაემალათ თავიანთი უღირსი საქციელი.
ბ) უნდოდათ დროზე დაბრუნებულიყვნენ შინ.

გ) უნდოდათ სწრაფად გაევლოთ ეკლიანი გზა.
დ) უნდოდათ შემოდგომის სუსხისათვის დაეღწიათ თავი.

(1) **14. რატომ ეკუმშებოდა გული პოეტს მთიდან მომავალთა დანახვაზე?**
ა) ეგონა, რომ მის გაღიზიანებას ცდილობდნენ.
ბ) ვარაუდობდა, რომ ერთმანეთის წაბაძვით საქმეს აფუჭებდნენ.
გ) ფიქრობდა, რომ მოურავს სამაგიეროს უხდიდნენ.
დ) ხედავდა, რომ ტყეს დაუნდობლად აჩანაგებდნენ.

(1) **15. რა იყო მოურავის მთავარი საწუხარი?**
ა) რომ აკაკი დაუძლურებული იყო.
ბ) რომ გლეხებს ვეღარ სჯიდნენ.
გ) რომ სოფელი უტყეოდ დარჩებოდა.
დ) რომ ქალმა შეურაცხყოფა მიაყენა.

(1) **16. რომელია ფრაზეოლოგიური გამოთქმა?**
ა) „ბოლთის ცემას იწყებდა“.
ბ) „დადიოდა ლანდივით ჩუმად“.
გ) „თითქოს მას ჩხვლეტდნენ ეკლები“.
დ) „კინაღამ ფრჩხილებით ამოკორტნა თვალები“.

(1) **17. რა გამოსავალს ხედავდა აკაკი შექმნილი მდგომარეობიდან?**
ა) გლეხები თავიანთ ნებაზე უნდა მიეშვათ.
ბ) გლეხებისათვის უნდა აეკრძალათ ტყით სარგებლობა.
გ) გლეხებისათვის უნდა აეხსნათ მოსალოდნელი საფრთხე.
დ) გლეხები უნდა დაესაჯათ ურჩობის გამო.

(1) **18. რომელი ფრაზა მიანიშნებს მკითხველს, რომ მწერალი მთაში ნანახმა სულიერად შეძრა?**
ა) „იყურებოდა მაღლა, დასცქეროდა მიწას“.
ბ) „მუხნარს და მოწყენილ ცასღა ხედავდა“.
გ) „პოეტი ნიავს ხელჯოხით ეხმარებოდა“.
დ) „უფრო დაბერებული და მოტეხილი ჩანდა“.

(1) **19. რა შეიძლება ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ აკაკიმ მოურავს ფანჯარა ნახევრად ამოაშენებინა?**
ა) აღარ უნდოდა დაენახა, ტყე როგორ ნადგურდებოდა.
ბ) სიბერის გამო აკაკის ახირებულობა დასჩემდა.
გ) უნდოდა ჩუმად დაენახა პირობის დამრღვევი თანასოფლელები.
დ) ფანჯრიდან შემოსული შუქი პოეტს თვალებს უღიზიანებდა.

(1) **20. ტროპული მეტყველების რომელი სახეობაა:** „ნიავი გაიხარებდა“**?**
ა) გაპიროვნება.
ბ) ეპითეტი.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) **21. რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი?**
ა) ადამიანებისათვის რაიმეს აკრძალვა საპირისპირო რეაქციას იწვევს.
ბ) ადამიანებს შორის ზნეობრივი კონფლიქტი გაუცხოების მიზეზი ხდება.
გ) ადამიანებს შორის პიროვნული მტრობა გადაულახავი ბარიერია.
დ) ადამიანებს შორის წოდებრივი დაპირისპირება დაუძლეველ წინააღმდეგობას ქმნის.

(8) **22. ტექსტიდან ამოღებულია 8 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი ქვემოთ მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 2 წინადადება ზედმეტია.**

გლობალური დათბობა

ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მთავარი პრობლემა, რომელიც კაცობრიობის წინაშე წარმოიქმნა, გლობალური დათბობაა. ------- (1). XX საუკუნის განმავლობაში დედამიწის ზედაპირსა და მის ატმოსფეროში ჩატარებულ დაკვირვებათა ანალიზის მიხედვით, კლიმატი საშუალოდ 1 გრადუსით დათბა.

ცნობილია, რომ დედამიწაზე ტემპერატურის ზრდაზე გავლენა შეიძლება იქონიოს სხვადასხვა ფაქტორმა. ------- (2). ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი აირების კონცენტრაციის ზრდა არღვევს ენერგეტიკულ ბალანსს, რომელიც მილიონობით წლის განმავლობაში არსებობდა მზიდან წამოსულ ენერგიასა და იმ ენერგიას შორის, რომელსაც მუდმივად ასხივებს დედამიწის სფერო. ------- (3).

XXI საუკუნეში მოსალოდნელია დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის 1,1-6,4 გრადუსით ზრდა. აირების კონცენტრაციის ზრდის შეჩერების შემთხვევაშიც კი ეს დათბობა კიდევ ათას წელს გაგრძელდება. ------- (4).

ტემპერატურის შემდგომი ზრდა გამოიწვევს ზღვის დონის აწევას, შეიცვლება ნალექების რაოდენობა და განაწილება, გადაშენდება ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი სახეობა, გაიზრდება დაავადებათა რიცხვი. ამავე დროს გაიზრდება კატასტროფული მოვლენების სიხშირე და სიმძლავრე. ------- (5).

ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა დასკვნა, რომელშიც გლობალური დათბობის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობაა დასახელებული. ------- (6). კლიმატის ცვლილება იწვევს ისეთი სტიქიური მოვლენების ზრდას, როგორებიცაა: გვალვა და წყალდიდობა. ------ (7).

სახელმწიფოთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა ოქმს, რომელიც ატმოსფეროში აირების კონცენტრაციის შემცირებას ისახავს მიზნად. ------- (8).

გამოტოვებული წინადადებები:

ა) გლობალური დათბობა დედამიწის ატმოსფეროსა და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის სწრაფი ზრდის პროცესია.

ბ) თუმცა არ წყდება დებატები იმის შესახებ, რა უფრო რაციონალურია – გლობალური დათბობის შეჩერება თუ არსებულ ცვლილებებთან ადაპტაცია.

გ) კვლევის მიზანი იყო გაერკვიათ, თუ გამოკითხულთა უმრავლესობა რას მიიჩნევდა დათბობის გამომწვევ მიზეზად.

დ) მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მეცნიერები ამახვილებენ ადამიანის ფაქტორზე.

ე) მკვლევართა მონაცემებით, ამჟამად გლობალური დათბობის გამო მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 300 ათასი ადამიანი იღუპება.

ვ) მსგავსი სტიქიური მოვლენები კი დიდ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაზე, რაც ზოგჯერ შიმშილობასაც იწვევს.

ზ) მხოლოდ ამის შემდეგ არის მოსალოდნელი დარღვეული წონასწორობის აღდგენა და საშუალო ტემპერატურის დარეგულირება.

თ) ორგანული ნივთიერებების წვის შედეგად ატმოსფეროში CO_2-ის გაზი იფრქვევა.

ი) სწორედ ამგვარი ენერგეტიკული დისბალანსი იწვევს ისეთ ბუნებრივ მოვლენას, როგორიც კლიმატის გლობალური დათბობაა.

კ) ჯერჯერობით უცნობია, დედამიწის რომელ რეგიონს დააზარალებს ყველაზე მეტად ეს მოვლენები.

<u>ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად:</u> 22-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და <u>გადამკვეთ უჯრედში</u> ჩასვით **X** ნიშანი.

(10) **23. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს *(გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ).* აღნიშვნები გააკეთეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში *(ნიმუში მოცემულია).***
არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე.

1. „გარდატეხის ასაკი“ ძალიან რთული პერიოდია მოზარდისა და მისი მშობლებისათვის. ამ ასაკში ის, რაც უკვე განვითარებული და მიღწეულია, დაშლას იწყებს, ახალი კი ჩამოყალიბების პროცესშია. მოზარდს ახალი რესურსები ჯერ კიდევ არ ჰყოფნის, ძველი შესაძლებლობებით კი ვერ ახერხებს გარემოსთან ურთიერთობას და შედეგად კრიზისული სიტუაცია იქმნება. მანამდე თითქოს ყველაფერი წესრიგშია, ერთ მშვენიერ დღეს კი მშობელი აღმოაჩენს, რომ ბავშვი აბსოლუტურად შეიცვალა. განვითარების პროცესში რამდენიმე კრიტიკული პერიოდია.
2. კრიტიკულ პერიოდს ახასიათებს როგორც სერიოზული ფიზიკური და ფიზიოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური ცვლილებები. რაღაც ეტაპამდე პროცესები ფარულად მიმდინარეობს, არ ჩანს, თუმცა ყალიბდება გარკვეული უნარები, რომლებითაც ინდივიდი ჯერ ვერ სარგებლობს. არადა ის იმ უნარებითაც ვეღარ სარგებლობს, რომლებიც ადრე ჰქონდა. გარემო მას ახალ მოთხოვნებს უყენებს, ამ ახალი მოთხოვნების შესაბამისი უნარები კი ჯერ მომწიფებული არ აქვს. ეს სერიოზული რევოლუციაა.
3. პირველი ასეთი პერიოდი ჯერ კიდევ 3 წლის ასაკში დგება, როცა ბავშვი მშობელსაა მიჯაჭვული და ამავდროულად ცდილობს საკუთარი დამოუკიდებლობის გაცნობიერებას. სწორედ ამ დროს იწყება ცნობილი „სიჯიუტის სტადია“. მომდევნო კრიტიკული პერიოდი სკოლაში შესვლას ემთხვევა – ამ ეტაპზე განსაკუთრებულად ვითარდება ნებელობის პროცესები, როდესაც ბავშვი „უნდასა“ და „მინდას“ შორის არჩევანის გაკეთებას სწავლობს. მესამე კრიტიკული პერიოდი დაახლოებით 11 წლის ასაკში იწყება და 15-17 წლისათვის მთავრდება. ამასთან შედარებით სხვა პერიოდები მშობლისათვის თითქოს ნაკლებად შესამჩნევია, თუმცა იმ დროსაც ექმნებათ შვილებთან პრობლემები.
4. „გარდატეხის პერიოდში“ მოზარდი რადიკალურად იცვლება. ცვლილებები ორი – ფიზიკური და ემოციური – მიმართულებით ვითარდება. ამ პერიოდში მოზარდი ეთიკური დილემის წინაშე დგება, იწყება დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების შეცნობის მცდელობა, ღირებულებების გაცნობიერება, დამოკიდებულებების ჩამოყალიბება: „რატომ ასე და არა სხვაგვარად? რატომ ასეთი და არა ისეთი ქცევა?“. ჩნდება ავტორიტეტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვი იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, საკუთარი აზრისა და შეხედულების დაცვისათვის.
5. მშობელმა უნდა შეცვალოს ქცევის სტრატეგია – პირდაპირი მითითება იქნება ეს თუ სტერეოტიპული მიდგომა. მცირეწლოვანი ბავშვები მეტ-ნაკლებად საჭიროებენ ჩარჩოს და ეგუებიან კიდეც მას, მაგრამ „გარდატეხის პერიოდში“ ისინი ვერ იტანენ შეზღუდვებს. აღზრდის მთელი ხელოვნება ისაა, რომ მშობელმა შეძლოს და ეს ჩარჩო შეინარჩუნოს, მაგრამ ნაკლებად საგრძნობი, თითქოს უხილავი გახადოს. მან უნდა იცოდეს, რა ასაკში არის ეფექტიანი კატეგორიული მოთხოვნა, წახალისება-დასჯა თუ დათმობა და რა ასაკში – არა. აღზრდის ამოცანაა მოზარდის მინუსები პლუსებად აქციოს, რათა ბავშვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები სასარგებლო მიმართულებით წარმართოს: იყოს შეურიგებელი უსამართლობის მიმართ; ეშინოდეს იმისა, რაც საშიშია; იყოს კრიტიკული, მაგრამ არ უყურებდეს ყველაფერს ეჭვის თვალით; იცოდეს კითხვის დასმა და ა. შ. ამის მიღწევა კი დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული.

წინადა-დების №	წინადადებები	დიახ	არა	აბზა-ცის №
0.	მცირეწლოვანი ბავშვები გარკვეულწილად ეგუებიან ჩარჩოს.	X		5
1.	ნებელობის პროცესების განვითარება არსებითია სამივე კრიტიკული პე-რიოდისათვის.			
2.	კრიზისულ სიტუაციაში ბავშვის ცვლილება მშობლისათვის შეუმჩნეველი არ რჩება.			
3.	აღზრდის ამოცანა მოზარდის დამახასიათებელი თვისებების უცვლელად შენარჩუნებაა.			
4.	კრიტიკულ პერიოდს მხოლოდ ფსიქოლოგიური ცვლილებები ახასია-თებს.			
5.	სამი წლის ბავშვი საკუთარ დამოუკიდებლობას ბოლომდე ვერ აცნობიე-რებს.			
6.	„გარდატეხის პერიოდში“ მშობელმა ნაკლებად საგრძნობი უნდა გახადოს ის ჩარჩო, რომელიც ბავშვის აღზრდისათვის არის საჭირო.			
7.	„გარდატეხის პერიოდში“ მოზარდი მშობელზე კიდევ უფრო დამოკიდე-ბული ხდება.			
8.	„გარდატეხის პერიოდში“ მოზარდი ავტორიტეტების გადაფასებას იწყებს.			
9.	გარდატეხის ასაკი მოზარდის განვითარებაში საკმაოდ რთული პერიო-დია.			
10.	კრიტიკულ პერიოდში გარემო ბავშვისაგან ახალი უნარების განვითარებას არ ითხოვს.			

III. წერა (20 ქულა)

24. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ენის საფუძვლიანად შესწავლა მხოლოდ იმ გარემოშია შესაძ-ლებელი, რომელშიც ამ ენაზე საუბრობენ.

შავი სამუშაოსათვის:

IV. მეთოდიკა (30 ქულა)

(10) **25. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები (სტრიქონში არა უმეტეს ერთისა).**
შესაბამისი სტრიქონის გასწვრივ I გრაფაში ჩაწერეთ <u>სწორი ვარიანტი</u>, II გრაფაში კი მიუთითეთ, <u>რა ტიპისაა</u> ეს შეცდომა ან ხარვეზი. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √ (ნიმუში მოცემულია). ***გაითვალისწინეთ: შეცდომის ტიპის მითითება აუცილებელია!***
არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე.

ტექსტი	სწორი ვარიანტები	შეცდომების ტიპები
პირველმა ქართველმა პროფესიონალმა ფოტოგრაფმა ალექსანდრე როინაშ-	**0.** ------- **√** ------	**0.**----------
ვილმა 19-ე საუკუნის 70-იან წლებში თბილისში გახსნა საკუთარი სახელოს-	**00.** ---- **მე-19** ----	**00.**--**ორთ.**--
ნო. ის ბევრი ხნის განმავლობაში იღებდა საზოგადო მოღვაწეების, ჩვენი ყო-	1. ----------	1. ----------
ფის ამსახველ ფოტოებს. ალექსანდრემ შეაგროვა საინტერესო ეთნოგრაფიუ-	2. ----------	2. ----------
ლი ნივთები, ფოტოები და გამოჰფინა ისინი მოძრავ მუზეუმში, რომელიც თა-	3. ----------	3. ----------
ვად შექმნა. მას სურდა ქვეყნის გარეთ გაეტანა ეს კოლექცია, რადგან იქაც ჰქო-	4. ----------	4. ----------
ნოდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ ქართულ კულტურას. სამწუხაროდ,	5. ----------	5. ----------
ალექსანდრეს არ დასცალდა, რომ ეს ჩანაფიქრი გაენხორციელებინა.	6. ----------	6. ----------

(6) **26. ცხრილში მოცემულ თითოეულ <u>აქტივობას</u> შეუსაბამეთ ერთ-ერთი სასწავლო <u>მიზანი</u>. გაითვალისწინეთ, ჩამოთვლილთაგან <u>სამი მიზანი</u> ზედმეტია.**

აქტივობა	**მიზანი**
1. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფერად ფანქრებს და ასახელებს ფერებს. შემდეგ წარმოთქვამს ფერების აღმნიშვნელ სიტყვებს, მოსწავლეები კი აჩვენებენ დასახელებული ფერის ფანქრებს. **2.** მოსწავლე კითხულობს დაფაზე დაწერილ სიტყვებს და შემოხაზავს იმ ასოებს, რომლებიც მეორდება ყველა სიტყვაში. **3.** მოსწავლეები ეცნობიან სპორტსმენის ბიოგრაფიას და ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით ქმნიან ანკეტის ტექსტს. **4.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟის მიმართ და დაიმოწმონ შესაბამისი მონაკვეთები ტექსტიდან. **5.** მოსწავლეებმა უნდა ჩასვან მითითებული სუბიექტი და ობიექტი შესაბამის ბრუნვასა და რიცხვში. მასწავლებელი აძლევს ნიმუშს: *მხატვარი / გამოფენა / აწყობენ* **მხატვრები გამოფენას აწყობენ.** **6.** მოსწავლეებმა უნდა მონიშნონ ტექსტში სიუჟეტის განვითარების საფეხურები: დასაწყისი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.	**ა)** ანბანური პრინციპის გაგება-გამოყენების უნარის შემოწმება. **ბ)** არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება. **გ)** ახალი ლექსიკური ერთეულების სწავლება. **დ)** კონტექსტის მიხედვით სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა. **ე)** მთავარი და არამთავარი საკითხების გამიჯვნის უნარის განვითარება. **ვ)** სტრუქტურული მახასიათებლების გათვალისწინებით ფუნქციური ტექსტის შექმნის უნარის შემოწმება. **ზ)** ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობის უნარის შემოწმება. **თ)** მწერლის სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვების ამოცნობა. **ი)** შესწავლილი ენობრივი საკითხების ცოდნის გააქტიურება.

<u>ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად:</u> 26-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში თითოეული აქტივობის რიგითი ნომრისა და შესაბამისი მიზნის აღმნიშვნელი ასოს <u>გადამკვეთ უჯრედში</u> ჩასვით **X** ნიშანი.

(1) **27. რომელი წერითი დავალება ამოწმებს მოსწავლის შემოქმედებით უნარ-ჩვევას?**

ა) მოსწავლეები გეგმის მიხედვით წერენ შესწავლილი ტექსტის მოკლე შინაარსს.
ბ) მოსწავლეები სიტყვათა მარაგის მიხედვით აღადგენენ ნაკლულ ტექსტს.
გ) მოსწავლეები ტექსტის შინაარსის მიხედვით დასმულ კითხვებზე წერენ პასუხებს.
დ) მოსწავლეები შეთავაზებული ილუსტრაციის მიხედვით ქმნიან მხატვრულ ტექსტს.

(1) **28. მასწავლებელმა მოსწავლეებს გაუნაწილა ავტორისა და პერსონაჟების როლები და სთხოვა სათანადო ინტონაციით წაეკითხათ ტექსტი.**
რა არის ამ დავალების ძირითადი მიზანი?

ა) მოსწავლეები დაეუფლონ გაცნობითი კითხვის სტრატეგიას.
ბ) მოსწავლეები დაეუფლონ ძიებითი კითხვის სტრატეგიას.
გ) მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ გამომეტყველებითი კითხვის უნარი.
დ) მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ სწრაფი კითხვის უნარი.

(1) **29. თქვენი მიზანია მოსწავლეებს აღუძრათ მხატვრული ტექსტის წაკითხვის ინტერესი.**
ამ მიზნის მისაღწევად ჩამოთვლილი ოთხი აქტივობიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი და დაასაბუთეთ მისი ეფექტიანობა.

1) მასწავლებელი ტექსტის წაკითხვამდე აცნობს მოსწავლეებს ნაწარმოების ფაბულას.
2) მასწავლებელი ტექსტის წაკითხვამდე საუბრობს ნაწარმოების ავტორის შესახებ.
3) მოსწავლეები ტექსტის წაკითხვამდე განმარტავენ მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ სიტყვებს.
4) მოსწავლეები ტექსტის წაკითხვამდე სათაურის მიხედვით გამოთქვამენ ვარაუდებს სიუჟეტის შესახებ.

---

(2) **30. წაიკითხეთ ტექსტი:**

<u>კომპიუტერთან მუშაობის დროს გაითვალისწინეთ</u>:

- თვალსა და მონიტორს შორის მანძილი უნდა იყოს 70 სმ!
- არ გამოიყენოთ მაგიდის ლამპა!
- კომპიუტერთან დასხედით გამართულად!
- დროდადრო დახუჭეთ თვალები!
- ნუ დადგამთ კომპიუტერს ფანჯარასთან!

ა) რომელი ენობრივი საკითხის შესასწავლად გამოიყენებთ მოცემულ ტექსტს?

ბ) დაასაბუთეთ, რომ ეს ტექსტი დაგეხმარებათ თქვენ მიერ შერჩეული მიზნის მიღწევაში.

---

(2) **31. მოსწავლე „ჭ“ ბგერის ნაცვლად წარმოთქვამს „ჩ“-ს, ხოლო „წ“ ბგერის ნაცვლად – „ც“-ს.**
ა) დაასახელეთ ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი.

ბ) აღწერეთ აქტივობა, რომლის მეშვეობითაც დაეხმარებით მოსწავლეს ამ პრობლემის დაძლევაში.

---

(3) **32. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *ბავშვი წაიკითხა წიგნი.*
ა) დაწერეთ, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რომ არ დაუშვას ამ ტიპის შეცდომა.

ბ) აღწერეთ ერთ-ერთი აქტივობა, რომელიც დაეხმარება მას ამ ტიპის შეცდომის დაძლევაში.

გ) დაასაბუთეთ ამ აქტივობის ეფექტიანობა.

---

(2) **33.** მოსწავლემ შეადგინა წინადადება: *„ჩემს ძაღლს თეთრი ლეკვი აქვს“.*

ა) რა უნდა იცოდეს მოსწავლემ, რომ არ დაუშვას ამ ტიპის შეცდომა?

ბ) აღწერეთ აქტივობა, რომლის მეშვეობითაც დაეხმარებით მას ამ პრობლემის დაძლევაში.

---

(2) **34.** მოსწავლემ შეადგინა წინადადება: *ყველა კმაყოფილი იყვნენ თანაკლასელის წარმატებით.*

ა) გაუსწორეთ მოსწავლეს შეცდომა.

ბ) დაწერეთ, რა უნდა იცოდეს მან, რომ არ დაუშვას ამ ტიპის შეცდომა.

V. ლაპარაკი (11 ქულა)

<u>I დავალება</u>.

მოისმინეთ <u>**ორი**</u> შეკითხვა და უპასუხეთ მათ. თითოეულ კითხვაზე პასუხების მოსაფიქრებლად გეძლევათ <u>***10-10 წამი***</u>, პასუხებისათვის – <u>***30-30 წამი***</u>.

პირველი შეკითხვა.
თქვენი აზრით, პატარა ქალაქში უკეთესია ცხოვრება თუ დიდში?
პასუხი დაასაბუთეთ.

მეორე შეკითხვა.
რომელია თქვენი საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები და რატომ?

II <u>დავალება</u>.

გაიხსენეთ ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დღე თქვენი ცხოვრებიდან:

- გვიამბეთ, რით დაგამახსოვრდათ ეს დღე.
- აღწერეთ თქვენი მაშინდელი განცდები და შთაბეჭდილებები.

თქვენ გაქვთ ***<u>1 წუთი</u>*** მოსაფიქრებლად და ***<u>2 წუთი</u>*** პასუხის გასაცემად.
შეგიძლიათ ფურცელზე ჩაინიშნოთ პასუხისათვის საჭირო დეტალები.

III <u>დავალება</u>.

მოისმინეთ სიტუაციის აღწერა და იმსჯელეთ არგუმენტირებულად. თქვენ გაქვთ ***<u>30 წამი</u>*** მოსაფიქრებლად, ხოლო პასუხისათვის – ***<u>1 წუთი</u>***.

სიტუაცია:

თქვენი სადამრიგებლო კლასის რამდენიმე მოსწავლე თამაშობს საფეხბურთო გუნდში. ზოგ მასწავლებელს მიაჩნია, რომ მათი ხარვეზები სწავლაში სწორედ ამით არის გამოწვეული და უმჯობესი იქნება, თუკი სპორტს თავს დაანებებენ.

როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ?

არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია!

შ ე ფ ა ს ე ბ ი ს ს ქ ე მ ა

1. ბ)--1ქ. **2.** გ)--1ქ. **3.** ბ)--1ქ. **4.** დ)--1ქ. **5.** დ)--1ქ. **6.** ბ)--1ქ. **7.** ა)--1ქ. **8.** დ)--1ქ. **9.** ა)--1ქ. **10.** ბ)--1ქ. **11.** გ)--1ქ. **12.** ბ)--1ქ. **13.** ა)--1ქ. **14.** დ)-1ქ. **15.** გ)--1ქ. **16.** ა)--1ქ. **17.** გ)--1ქ. **18.** დ)-1ქ. **19.** ა)--1ქ. **20.** ა)--1ქ. **21.** ბ)--1ქ.

დავალება N 22.

	1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.
ა)	X							
ბ)								X
გ)								
დ)		X						
ე)						X		
ვ)							X	
ზ)				X				
თ)								
ი)			X					
კ)					X			

დავალება N 23.

წინადა-დების №	დიახ	არა	აბზა-ცის №
1.		X	
2.	X		1
3.		X	
4.		X	
5.	X		3
6.	X		5
7.		X	
8.	X		4
9.	X		1
10.		X	

23-ე დავალების მაქსიმალური ქულაა – 10.

ა) თუ 1-ელ, მე-3, მე-4, მე-7 და მე-10 სტრიქონებში მონიშნულია გრაფა - „არა“, თითოეული პასუხი შეფასდება ***1 (ერთი) ქულით;*** ყველა სხვა შემთხვევაში იწერება ***0 (ნული) ქულა;***

ბ) თუ მე-2, მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 სტრიქონებში მონიშნულია გრაფა – „დიახ“ და, აგრეთვე, <u>აბზაცების ნომრებიც სწორადაა მითითებული</u>, თითოეული პასუხი შეფასდება ***1 (ერთი) ქულით;*** ყველა სხვა შემთხვევაში იწერება ***0 (ნული) ქულა.***

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები (დავალება № 24)

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **20.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, ***უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას***. თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

თუ კანდიდატის ნაშრომი არ უპასუხებს დავალების პირობას ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება***.

კრიტერიუმების ჩამონათვალი და განმარტებები

№	*კრიტერიუმები*	*კრიტერიუმების განმარტებები*	*მაქსიმალური ქულები*
I	დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება	კანდიდატს მოეთხოვება დავალების პირობის ადეკვატური გაგება და მისი სიღრმისეული გააზრება.	2
II	ნაშრომის აგება	კანდიდატს მოეთხოვება მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	2
III	მსჯელობის დასაბუთება	კანდიდატს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება შესაბამისი მაგალითებით.	4
IV	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, აგრეთვე, ზოგადი განათლება, ფართო ერუდიცია.	3
V	ლექსიკა და სტილი	კანდიდატს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე, ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნების დაცვა.	3
VI	სინტაქსი	კანდიდატს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	3
VII	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	კანდიდატს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	3

I კრიტერიუმი

№	*დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	2
2.	დავალების პირობა ნაწილობრივ ***არაადეკვატურადაა*** გაგებული.	1
3.	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	2
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** დარღვეულია ტექსტის ლოგიკა *და/ან* აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	1
3.	ნაშრომში ***დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა და/ან იგი ორგანიზებული ***არ არის.***	0

III კრიტერიუმი

№	*მსჯელობის დასაბუთება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული და არგუმენტები ***გამყარებულია*** შესაფერისი მაგალითებით.	4
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები ***არაადეკვატურია.***	3
3.	მსჯელობა ***ზერელედაა*** დასაბუთებული, ***ხშირ*** შემთხვევაში არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
4.	მსჯელობა ***ძალზე ზოგადია,*** არგუმენტების მოხმობისას ***დაშვებულია*** უზუსტობა ან ფაქტობრივი შეცდომა.	1
5.	მსჯელობა დასაბუთებული ***არ არის.***	0

IV კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ***ფართო*** ერუდიცია.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მისი ფართო ერუდიცია; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა კანდიდატის ერუდიციაცა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა ერუდიცია; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა ერუდიცია.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა კანდიდატის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ერუდიცია.	0

V კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება ***ორიოდე*** სტილისტური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი ***გასაგებია,*** თუმცა ლექსიკა ***მწირია,*** გვხვდება ***რამდენიმე*** სტილისტური ხარვეზი.	1
4.	თხზულება სტილისტურად ***გაუმართავია.***	0

VI კრიტერიუმი

№	*სინტაქსური კონსტრუქციები*	*ქულები*
1.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი*** სინტაქსური შეცდომა.	3
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	2
3.	ნაშრომში დაშვებულია ***სამი*** სინტაქსური შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია ***სამზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***ორზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	3
2.	არ არის ***ხუთზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	2
3.	არ არის ***რვაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	1
4.	დაშვებულია ***რვაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	0

დავალება N 25.

სწორი ვარიანტები	შეცდომების ტიპები
1. --------- დიდი ---------	1. - სტილ.-
2. ---------- √ ----------	2. ----------
3. ------- გამოფინა -------	3. - მორფ.-
4. ------ რათა (რომ) ------	4. - სინტ.-
5. ---------- √ ----------	5. ----------
6. - განეხორციელებინა -	6. - მორფ.-

25-ე დავალების მაქსიმალური ქულაა – 10.

ა) თუ 1-ელი, მე-3, მე-4 და მე-6 სტრიქონების პირველ სვეტში სწორი ვარიანტები წერია, მე-2 სვეტში კი შეცდომების ტიპებიც სწორად არის მითითებული, თითოეული პასუხი შეფასდება ***2 (ორი) ქულით;***

ბ) თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმე სტრიქონის პირველ სვეტში წერია სწორი ვარიანტი, მაგრამ მე-2 სვეტში შეცდომის ტიპი არასწორად არის მითითებული, ის კონკრეტული პასუხი შეფასდება ***1 (ერთი) ქულით;***

გ) თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმე სტრიქონის პირველ სვეტში შეცდომა არასწორად არის მითითებული ან სტრიქონი ცარიელია, ის კონკრეტული პასუხი შეფასდება ***0 (ნული) ქულით*** მიუხედავად იმისა, თუ რა წერია მე-2 სვეტში;

დ) თუ მე-2 და მე-5 სტრიქონების პირველ სვეტში წერია √ ნიშანი (ანუ აღნიშნულია, რომ ამ სტრიქონებში შეცდომა არ არის), პასუხები შეფასდება ***1 (ერთი) ქულით;***

ე) თუ მე-2 ან/და მე-5 სტრიქონის/სტრიქონების პირველ სვეტში წერია ნებისმიერი სიტყვა/სიტყვები ან სტრიქონი/სტრიქონები ცარიელია, პასუხი/პასუხები შეფასდება ***0 (ნული) ქულით.***

დავალება N 26.

	1.	2.	3.	4.	5.	6.
ა)		X				
ბ)				X		
გ)	X					
დ)						
ე)						
ვ)			X			
ზ)						X
თ)						
ი)					X	

27. დ)----------1ქ. **28.** გ)----------1ქ.

29. აქტივობის ეფექტიანობა დასაბუთებულია არგუმენტირებულად. ----------1ქ.
აქტივობის ეფექტიანობა არ არის დასაბუთებული. ----------0ქ.

30. ა) მოცემულ ტექსტს გამოვიყენებ ბრძანებითი წინადადების (მეორე პირის ფორმების/ზმნის კილოს...) შესასწავლად. ----------1ქ.
ბ) პასუხი დასაბუთებულია. ----------1ქ.
პასუხი არ არის დასაბუთებული. ----------0ქ.

31. ა) დასახელებულია მიზეზი (ეს ბგერები უცხოა მოსწავლის მშობლიური ენისათვის/მოსწავლე მშობლიური ენისათვის უცხო ბგერებს ვერ გამოთქვამს). ----------1ქ.
ბ) აღწერილია აქტივობა. ----------1ქ.
აქტივობა არ არის აღწერილი. ----------0ქ.

32. ა) მოსწავლემ უნდა იცოდეს, როცა შემასმენელი გადმოცემულია გარდამავალი ზმნის წყვეტილის ფორმით, ქვემდებარე მას მოთხრობით ბრუნვაში შეეწყობა (გარდამავალ ზმნას წყვეტილში სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში შეეწყობა). ----------1ქ.

ბ) აღწერილია აქტივობა.----------1ქ.
აქტივობა არ არის აღწერილი. ----------0ქ.
გ) პასუხი დასაბუთებულია. ----------1ქ.
პასუხი არ არის დასაბუთებული. ----------0ქ.

33. ა) მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ სულიერ საგანზე ითქმის ჰყავს. ----------1ქ.
ბ) აღწერილია აქტივობა. ----------1ქ.
აქტივობა არ არის აღწერილი. ----------0ქ.

34. ა) ყველა კმაყოფილი იყო თანაკლასელის წარმატებით/ყველანი კმაყოფილი/კმაყოფილნი იყვნენ თანაკლასელის წარმატებით. ----------1ქ.
ბ) როდესაც ქვემდებარე სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვაა (ფორმით მხოლობითი), ზმნა-შემასმენელი მხოლობით რიცხვში შეეწყობა; შემასმენელი შეიძლება იყოს მრავლობით რიცხვში, თუ სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა ნართანიანი მრავლობითის ფორმითაა. ----------1ქ.

შეფასების კრიტერიუმები ლაპარაკის ნაწილისათვის

I კრიტერიუმი

N	დავალებასთან შესაბამისობა	ქულები
1.	ლაპარაკობს თავისუფლად, პაუზების გარეშე; პასუხი არგუმენტირებულია; დროს სრულად იყენებს.	3
2.	ლაპარაკობს გამართულად, თუმცა ზოგ შემთხვევაში მოკლე, წყვეტილი ფრაზებით, პაუზების გარეშე; არგუმენტები ზოგჯერ არ არის მყარი; დროს სრულად არ იყენებს.	2
3.	ლაპარაკობს დაზეპირებული ან გაუმართავი ფრაზებით, მოკლე, წყვეტილი წინადადებებით; პასუხი არ არის არგუმენტირებული; დროს სრულად არ იყენებს.	1
4.	ლაპარაკობს გაუგებრად ან ლაპარაკობს სხვა თემაზე, ანდა დუმს.	0 (არ სწორდება)

II კრიტერიუმი

N	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	აქვს მდიდარი ლექსიკური მარაგი; მეტყველება სტილისტურად გამართულია.	3
2.	აქვს საკმარისი ლექსიკური მარაგი, თუმცა 1 ან 2 შემთხვევაში სიტყვა არასწორადაა შერჩეული; გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	2
3.	აქვს ერთფეროვანი, მწირი ლექსიკა; ხშირად ლექსიკური ერთეულები არაადეკვატურად არის გამოყენებული; გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	1
4.	აზრის გაგება ჭირს, რადგან ლექსიკა არაადეკვატურია; მეტყველება სტილისტურად გაუმართავია.	0

III კრიტერიუმი

N	**გრამატიკული მრავალფეროვნება და სისწორე**	**ქულები**
1.	იყენებს მრავალფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; არ უშვებს გრამატიკულ შეცდომებს.	3
2.	იყენებს მარტივ და საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს, თუმცა უშვებს 1 ან 2 გრამატიკულ შეცდომას.	2
3.	იყენებს მარტივ, ერთფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; გრამატიკული შეცდომები ზოგჯერ ხელს უშლის აზრის გაგებას.	1
4.	მეტყველება გრამატიკულად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.	0

IV კრიტერიუმი

N	**წარმოთქმა**	**ქულები**
1.	ბგერებს სწორად წარმოთქვამს, წარმოთქმის ხარვეზები უმნიშვნელოა.	2
2.	ზოგიერთ ბგერას სწორად ვერ წარმოთქვამს, თუმცა ეს ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	1
3.	ბგერებს სწორად ვერ წარმოთქვამს, ნათქვამი ხშირად გაუგებარია.	0

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება!

2014 წელს 25-ე დავალებაში კანდიდატს უნდა გაესწორებინა ტექსტში დაშვებული შეცდომები და მიეთითებინა შეცდომების ტიპები.

2015 წლის გამოცდაზე ეს დავალება შემდეგნაირი იქნება: გაიზრდება შეცდომების რაოდენობა, თუმცა შეცდომების ტიპების მითითება საჭირო აღარ იქნება, დავალება კი ისევ ათქულიანი დარჩება (იხ. ნიმუში).

25-ე დავალების ნიმუში:

ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები. ზოგ სტრიქონში მხოლოდ ერთი შეცდომაა, ზოგში შეცდომა არ არის. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები, ***თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა - √ (ნიმუში მოცემულია).***

შავი ზღვისპირეთის სამხრეთი ნაწილი უძველესი დროიდან ქართველური	**0.** --------- **√** ---------
ტომებით იყო დასახლებული. ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეცხრე საუკუნეში მათ	**00.** ----- **ჩვენს** ------
შეჰქმნეს უძლიერესი სახელმწიფო კოლხეთი, რომელიც მეტად მდიდარი და გან-	1. ----- შექმნეს -----
ვითარებული ქვეყანა იყო. მისი დიდების შესახებ ცნობები მოცემულია არაერთ	2. --------- **√** ---------
ძველბერძნულ და რომაულ წყაროებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა	3. ----- წყაროში ----
უძველესი მითი არგონავტების შესახებ, რომელშიც ასახულია ქართველურ ტომე-	4. - ქართველური -
ბის წესჩვეულებები და კულტურა. მითში გადმოცემულია, თუ როგორ	5. წეს-ჩვეულებები
გამოემგზავრენ კოლხეთში ელადის საუკეთესო ვაჟკაცები ოქროს საწმისის მოსა-	6. გამოემგზავრნენ
პოვებლად და ხელში ჩაიგდეს იგი. ეს ამბავი მრავალ ლიტერატურულ ნაწარმოებს	7. --------- **√** ---------
დაედო საფუძვლათ. ერთ-ერთია როდოსელის „არგონავტიკა“. მასში პირველად	8. -- საფუძვლად --
ვხვდებით ცნობებს ქალაქ კუტაიას, იგივე ქუთაისის, შესახებ. კოლხეთის სამეფო	9. ------ იმავე -------
ძველი წელთაღრიცხვის მე-8-ე საუკუნეში ურიცხვმა მტერმა გაანადგურა.	10. ------- მე-8 ------